# ცისკარი.

## 1871

## მაისი

წელიწადი მეთხუთმეტე.

---

წოდება თხზულებათა:

I.—კუკიის მჭწლი და ახალი მდგომარეობა. (მოთხრობა.) იოსებ ელიოზოვისა.

II.—საყვედური. (ლექსი.) კონსტანტინე ბერძენოვისა.

III.—ზ. დევდორიანი. კონსტანტინე კოლუბანსკისა.

IV.—ახანა ლეკის თავს გადასავალი. : : : : :

ტფილისს.

მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.

# ტფილისის ძუელი და ახალი მდგომარეობა.

## თავი 1.

ქუეყანაზე ერთი საუკეთესო ქალაქთაგანი, შემოზღუდული პატარა მთებით, კარგის ჴაერით, ცხელის წყლებით დ ყოველითავე მშუენიერის მდებარეობით განშუენებული არის ტფილისი, რომელზე მემატიანენი მოგვითხრობენ რომ, საქართუელოს მეფის ვახტანგ გორგასლანისაგან აღშენებულა, მერმე სატახტო ქალაქად ქმნილა დ მას აქეთ ათას ხუთასის წლის განმავლობაში ტფილისი ხან თავ-მოწონებით აღყვავებულა, განმრავლებულა, განდიდებულა დ მას შინა მსხდომარეთ მეფეთა, უბრძანებიათ გარემო მთავართა დ მრავალთა ტომთათჳს, ხან ბუნებითის კაცობრიობის მღელვარებისაგან დამდაბლებულთათჳს უბრძანებიათ გარემო რომელთამე უძლიერთა მტერთა.

ამ ქალაქს თფილისსა ჩრდილოეთით მომდინარე მტკვარი განვლის სამხრეთის კერძოდ და გაჰყოფს თფილისსა ორად, ასე რომ, დასავლეთიდამ მთაწმინდისა, სოლოლაკისა, წავკისისა და ხარფუხის მთების წამოწოლილის ცხვირებისა და მტკვრის შუა დაშენებულია ანუ ვსთქვათ ჩაჭედილი შენობა, გამოღმა რომელ არს, მტკვრისა აღმოსავლეთით კუკია, ჩუღურეთი, ავლაბარი და ნათლუხი, და ორნივე ესე მხარენი მტკვრის ზედ ნაპირის კიდეებზედ მიხჩობილნი და შენობაზედ გადაკიდებულნი.

აღმოსავლეთის მხარე ავლაბარი, იყო მხოლოდ აღშენებული და სამს უბნად მცხოვრებნი, შემდგომ აღამამად-ხანის თფილისში შემოსვლისა იგიცა იყო დანგრეულ, დანაშთენნი ავლაბრისა, გარემო ალაგები და ნათლუხი, კუკია, ჩუღურეთი და დაცემულნი დიდ-უბის და მტკვრის პირის მრთლად ალაგები იყო უშენი უწინარეს და როგორც მშიერთა მგელთა საშოვრისათვს, ეგრეთ მაწანწალა ლეკთაგან იყვნენ მარადის მოუსვენებელ და ბინა მოუკიდებელ ამა ალაგებში ხალხნი.

ავლაბრის გარემო ალაგები და აგრეთვე ნათლუხი სასემწიფო კაზარმებით ქვემო ნათლუხი, სხუა და სხუა ალაგებიდამ შეკრებილნი განმრავლდნენ **1820** და **1825** წელს აქეთ, კუკია **1799** წლიდამ, რომელს კუკიაზე ვაპირებ მოთხრობასა ჩემისა განგრძობასა.

ზემოხსენებულ დიდ-უბეში იყო და არს ეკკლესია წმინდის ღუთის მშობლისა, იქ იდგნენ მხოლოდ ცხრანი

კომლნი ქართჳელნი, იორდანა შვილი, ქიტუა შვილი, ბობოქა შვილი, შუაქრის შვილი, დოჩანა შჳლი, ხახაშვილი და სხჳანი, რომლისა ეკლესიის გვერდით ეხლა არის გამართული ცხენის დოღისათჳს.

ეს დიდ-უბის ალაგი სხჳა და სხჳა ჯარების სათამაშოდ, საწვრთელ სავარჯიშოდ ჰქონდათ ძჳელთა ჩჳენთა მეფეთაცა, უმეტეს დროსა საქართჳელოს ყვავილოვანს მდგომარეობისასა, ოდესცა ქალაქი თფილისი მოილერებდა ამპარტავანებით თავსა, სიმდიდრითა, სივრცითა და ერისა სიმრავლითა, რომელსა შინა მეფობდა ყოვლად ამაღლებული დიდებული მეფა თამარ, რომელმა აღაშენა ეკლესია ესე და იქორწინაცა მას შინა თავის მეორეს ქმარს დავით სოსლანზე.

ეს დიდ-უბის ეკლესია არს ხუთ ვერს სიშორეზე ქალაქისაგან ავლაბრის ხიდის გზით, ამა ხუთს ვერს ვაკე ალაგებში და იმას იქით მდებარე კუკია რომელიც ეხლა არის თითქმის უჩინებულესი თფილისის სხჳათა ალაგებთა ზედან, მაშინ იყო ცარიელი უშენად. 1799-ს წელსა, უკანასკნელმა საქართჳელოს მეფე გიორგიმ, თფილისის უეზდის სოფლის წინწყაროდგან გარდმოასახლნა შვიდნი კომლნი სომეხნი: ზალია შვილი, ჭონა შვილი, გაბოევი, ბასინოვი, ბატა შვილი, კორნოზა შვილი და დედუკა შვილი და დაასახლა კუკიას, სადაცა მეუღლემან მისმან დედოფალმან მარიამმან, მტრის შიშისა გამო სიმაგრისათჳს აღუშენა მათ პატარა ქვისა და ტალახის ციხე და გარე შემოუვლო ზღუდეთ ღრმა

თხრილი, ამა მცხოვრებთ ეწოდათ ყუნტია, რომლისა გამო დაერქუა საჴელი კუკია (ყუნტია.)

ზემო ხსენებულნი დიდ-უბეში საყდართან მცხოვრებნი ქართჳელნიცა **1800** და **1805** წელსა გარდმოსახლდნენ კუკიას მეორე უბანად სამხრეთის მხარეს.

ამ კუკიას დიდ-უბეს და დაცემულს მტკვრის პირის ალაგებს უწოდებდნენ წამხდარს ჭაერსა, კაცს ხშირად ავათა ხდიდა ციებ-ცხელებითა სხჳა და სხჳა მიზეზებითა, ამის გამო კუკიაში დასახლებულნი თუმცა აპირებდნენ ისევ სხჳაგან გარდასახლებასა, მაგრამ დღითი-დღე უკეთესის ალაგების ვერ მშოვნელნი შთებოდნენ ისევე, გარნა აძლევდათ მიწის მუშაკობა დიდსა სარგებლობასა და ჰოსიერს სამოვრებში ისარგებლეს საქონლითა. კარი, ცხენი, ძროხა, ცხვარი, ინდოური, ქათამი, ყველი, ერბო, რძე და სხჳანი ახლო მდებარის ქალაქიდამ, ავრეთვე ურმებით ზიდავდნენ თიფლისში ქირით მოუწყვეტლივ ნივთებს და სახრდოსა.

---

## 2.

**1819** წელსა, მთავრობის განკარგულებით გარდმოასახლეს საქართჳელოში ხუთასი კომლნი ნემეცნი, რომელნი გაჭყვეს ექვს ნაწილად, მათგანნი მართებლობამ დააბინავა **1**, კუკიას. **2**, ამ კუკიაზე სამ ვერს მოშორებით ზემო-ხსენებულს დიდ-უბეს, რომელი იზედ-

წოდების (ალექსანდროვსკი). ამ ორთავე დასახლებულთ ნემეცთ დასავლის მხრით უჭირავთ მტკვრის პირი, 3, სოფელს სართიჭალას, 4, ასურეთს, 5, რატევანს და 6 ელისაბედის-პოლის გუბერნიაში.

ამა კუკიას და დიდუბეს დასახლებულთათჳს გარემო მცხოვრებნი ამბობდნენ, საბრალო ნემეცნი სასტიკს ჰაერს ვერ გაუძლებენო, მაგრამ ისინი უმეტეს გამრავლდნენ.

პირველად რასაკჳრველია იყვნენ უქონელნი გლახაკნი, მაგრამ მალე მოიპოვეს ქონება, ამა ნემეცთა მიმოიხედეს, ნახეს გარემო მცხოვრებნი ქართველნი ხმარობენ ძველებურს დევ-გმირულს, რვა ანუ ათ უღლიანს გუთანსა და ესრეთსავე ურემსა, აგრეთვე ძვირფასს მამულებს კარგად არ უვლიან რომ შემოსავალი ჰქონდეთ, ამისთჳს არ მიხედეს იმათ მაგალითსა. იგინი განსხვავდნენ შრომითა და მოწყობილებითა, შეამზადეს ოთხისა ხან ექვსის ცხენით სახჳნელი გუთანი, ნაცვლად ჩვენებურის დიდის სახნისისა, გაუკეთეს სახნისი სუბუქი და ბასრი მიწის ღრმად და განივრად მომხვნელი.

რასაკჳრველია სარფიანიცა ასე რომ, ამას უნდება ერთი გუთნის-დედა, ცხენების რიგზე მოხმარებისათჳს ერთი კაცი ანუ ორი პატარა ბიჭი. დღეში ხნამს ჩვენებურის დღე-ნახევრის ოდენსა და ნაცვლად ურმისა გინა ერთ ცხენ შებმულის პოვოსკისა, შეუდგინეს ფურგუნი, ზიდავს ორმოც და ათიდამ ას ორმოც ფუთამდინ. ამაში აბიან ორიდამ ოთხ ცხენამდინ, ესეცა მსწრაფლი

მიმომსვლელი, თითქმის ყჳელა ნემენცსა აქჳს სახლში ყველა იარაღი: ცული, წალდი, დანები, ხერხი, ხელეჩო, ქლიბი, ფარგალი, ჩაქუჩი, არშინი, საჟენი, კალატოზის საზომი ქაფჩა და სხჳა. უბრალო პაჩინკას ყოველსავე სახმარისს თითონ გააკეთებენ და არა რას დახარჯვენ.

აგრეთვე შეუდგნენ კაცნი და ქალნი სამაგალითო შრომას, ამ ორთა კუკიისა და ალექსანდროვსკის სოფლის მცხოვრებთა მტკვრიდამ აღმართზე მაშინით ამოიყვანეს წყალი და გამოატარეს ალექსანდროვსკისა და კუკიის მცხოვრებლების შუა, სასმელად, სარწყავად; შეამკეს მშჳენივრად ვენახები სხჳა და სხჳა ალაგებიდამ მოტანილის საუკეთესო ვაზითა და ხეხილითა.

ამ ნემენცების გონიერულმა შრომამ გამოსცა მსუქანი ნაყოფი, პური, ქერი, კარტოფილი, კომბოსტო, ბალახი, თივა, სილი, ყურძენი, ძროხების რძისაგან შედგენილი ყჳელი, ერბო, კარაქი და რძე, აძლევდათ დიდსა სარგებლობასა, თფილისის, სართისჭალას, ასურეთს, რატევანს, არ არის კარგი ღვინის ალაგები, მაგრამ, იმათ მოიპოეს ისეთი ჴელოვნება რომ, ისინი ჰყიდიან ყოველთჳს კარგად დაყენებულ ღვინოს კარგ ფასად.

ამა ყოველთა კოლონისტებმა, დიდი ხნიდგან აქამომდე ნება რთვითა მთავრობისათა, გაიმართეს მამასახლისობა მათგანვე აღრჩეული, რომელი განაგებს ყოველსავე თავიანთ შორის მომხდარს სადაო საქმესა, შემთხვევაში თუ გარეშე პირმა არ გამოითხოვა ჩჳენს

სამართჳწლოში დავაზე, ან დიდი საქმე არ არის ასე რომ, თჳთ მოსამართლეთ ვერ შეიძლონ გადაწყვეტა, აგრეთვე მოდავე და მოპასუხენი დიდი მოჯიბრენი თუ არ არიან არ გადიტანენ არას დროს ჩუენს სამართველოში საჩივარსა, აღსდგებიან ურთი-ერთში მშვიდობით დამმხავებელნი, ბევრსაც დაათმობინებენ მშვიდობით მორიგებისათჳს.

თავიანთის მამასახლისისა ძალიან ეშინიანთ და არიანცა საშიშარნი ავის მომქმედთათჳს; კარგათ იციან თავიანთის მეზობლის სიმართლეცა და სიპლუტეცა, იგინი ჰქეჯნიან ძალზე ზარმაცსა, ლოთსა, ცრუსა და ავის მოქმედსა; მათში დაცულია პატიოსნება და ყოველ გვარი პირობა.

ენა და სარწმუნოება უჭირავთ მაგრა, დღესასწაულში ეკლესიას ძნელად დააკლდებიან, ახალ მოსწავლეს არ წააკითხებენ ისეთს წიგნსა, რომელსაც ვერ გაიგონებს ანუ ვერ ახსნის მოსწავლე, ყმაწვილს არ აზიარებენ ვიდრე წლოვანი არ შეიქნება და ოდეს რიცხვი შეუსრულდება, მაშინ მოამზადებენ ზიარებისათჳს სუფთა ტანისამოსში, პატარა ქალებს სულ ახალის ფერადოვნის და ყვავილებით შემკულს ტანისამოსში აზიარებენ და იმ დღეს იდღესასწაულებენ.

## 3.

ყოველთა უკეთესად კუკიის ნემეცნი გონიერულის მხნეობით განსხვავდნენ, ყოველთა ზედა, რადგან ადვილად ასაღებდნენ თავიანსის ნაყოფს ქალაქის სიახლოვისა გამო.

იმათნი კაცნი და ქალნი არიან უმეტეს ქერა თმიანნი და ხორბლის ფერნი, იცმენ მუშა კაცნი ძალიან იაფს და სარფიანს საცმელსა, სუფთას შეზავებულსა, პერანგზე იაფი ფასის ჟილეტი, მოკლე სერთუკი, უბრალო ყელსახვევი, ფურაშკა, ვიწრო შალვარი და მაგარი წაღები, როგორც ჩარხი მოუწყვეტლად დღე-ღამეზე წართვით მუშაკი, იმათი მუშა დედაკაცი აგრეთვე მაგარის ჩაქსულა ანუ სხვებრ ჭრელი უნაოჭო მოკლე სახლებიანი კაბითა, ჩებჩიკითა ანუ სხჳა რაჲმეთი სუბუქათ თავ მოხვეული თავისგანვე მოქსოვილის მაგარის ჩულქებით და მაგარისავე იაფი ფასის ბაშმაკებით. მუშაკობს პატიოსნად მარად დღე და ღამე.—

ბრძენი სოლომან იტყვის «დედაკაცი კეთილ-გონიერი გვირგვინი არს ქმრისა თჳსისა» ჭეშმარიტად ესრეთნი დედანი სანატრელნი არიან, სარწმუნო მეგობარნი, სიყჳარულის საიდუმლოებით შეკრულნი თჳსთა მეუღლეთათანა, ჭირში და ლხინში ურთი ერთისა თანა ზიარნი, მტირთჳმწლნი მძიმე უღლისა, შვილთა აღზრდა, სახლის წესიერად მოვლა, პურისა და საჭმლის შემზადება, ხვნაში, მკაში, ვენახში, მუშაკობაზე კელის შეწ-

ყობა და ყოველსავე ზედა გონიერად ქცევა.

მოვაჭრენი იტყვიან: კაცი გარედამ ეზიდება ქონებას, შინ ქალის საქმეარო, როგორც მაღაზიისა გინა დუქნისა დასლიდარი თუ არ არის ფრთხილი, მხნე, გონიერი, რა გინდ რა გარედამ უზიდონ, დასლიდარი განაბნევს და გააკოტრებს, რომლისა მაგალითი ხშირია. კაცი თითქმის სახლისა სტუმარია, განთიადზე გასული შორს თუ ახლო იღვწის, მოვა შინა ჭამას და ძილს ვერცკი ისრულებს, გარბის საქმეზე, სადაც გართულია სულით და გულით შეძინებისათჳს, ამ სახით შინ ყოველივე რწმუნებული აქვს ქალსა, თუ იგი გონიერის მხნეობით თვალ-ყურს არ ადევნებს, არ უალერსებს ყოველ გვარს ქონებას, ბარაქა და საფუძველი არ დაედება, რადგან ყოველივე სახმარი ხდება, ლპება, იხრწნება და მიწასთან ერთდება, ესრეთვე ოჯახი ძირს ეცემა, ინგრევა და ვალის ქვეშ იხრება, მაშა-სადამე, რა იხილვება ხსენებულის ნემენცების განმშვენებელი, განმდიდრებული ცხოვრება, მაშინვე მტკიცდება რომ, იმათნი დედანი არიან მიზეზნი და ღირსნიცა დიდებისა.

ამ კუკიისა და ალექსანდროვსკის კალონიების ნემენცთა, გაამრავლეს მწველელნი და რძისაგან შეადგინეს სხვა და სხვა თეთრეული და უმეტეს კარაქი და რძე. ისყიდებოდა მალზე თფილისის მცხოვრებთა ზედა კარაქი ჰქონდათ საუკეთესო სანოვაგედ მიღებული.

ამ კარაქისა, რძისა და სხვა თეთრეულთ სასყიდლად არა ჰქონდათ ნემენცთა ალაგი სავაჭრო დანიშნული,

(*) თუთ ნემეცების დედაკაცებისაგან მიიტანებოდა მისასყიდავათ, ასე რომ, თითქმის ჩვეულებათ დასდვეს მხოლოდ დედაკაცი მიუტანდა მსყიდველს სახლში დ ამ სახით ნემეცების სოფლებიდგან გამოვიდოდნენ ბებერნი დ ყმაწვილნი, ნერგის მანყულით დაწნულის გიდელითა, რომელში ჩალაგებულ იყო კარაქი დ სხვა თეთრეული. თავზე დადგმულნი წამოვიდნენ ნაწყვეტ ნაწყვეტად, ალექსანდროვსკისა დ კუკიის სოფლებიდამ, მოულიდნენ ავლაბრის ხიდიდამ, ერთი ექვსისა დ მეორე სამი ვერსის სიშორეზედ, შევიდოდნენ, რა გაიფანტებოდნენ ქალაქის ქუჩებში თავ-თავიანთ მცნობს მუშტრებში ასე რომ, დილით ყუწლას მიესწროთ, რძე, კარაქი ჩაისთვის.

ისეთი ქუჩა, ისეთი სახლი ძნელად იყო, რომელში ნემეცის დედაკაცი არ დადიოდა, იგინიცა რა რომ ხედავდნენ ამ თეთრეულითგან მოდიოდა ბლომათ ფულები, უმეტეს განამრავლებდნენ ყოველ გვართა მწველელთა დ დედაკაცნი მათნი, სხვათა საქმეთა შორის ამის წუწლას, კეთებას დ სყიდვას შეჩვივნენ დ გაიწვრთნენ, რომელთა შორის მომხდარს შემთხვევას ერთს ნემეն-

(*) რომლისამე კამპანიამ შვეიცარიის ნიმუშზე ჩინებულად შედგენილმა **1865** წელსა, კარაქმა დ სხვა დ სხვა გვარმა ყველმა დაასუსტა კარაქისა დ სხვა თეთრეულის ვაჭრობა ნემეცებისა დ ეს შვეიცარიის მაღაზია არს, თფილიის თავადის მამუკა ორბელიანის სახლებში, გოლოვინის პროსპექტზე.

ცის მშჳენიერ ქალზე ვიწყებ. (ამ ამბავს მცირე ხანს აქ დავასვენებ.)

---

## 4.

ზემოხსენებულის ერთ ერთის კალონიიდამ ძველ დროს ორნი გამოდიოდნენ რძე-კარაქითა, პირველი ქვრივი მ..ნა, ქერა სახისა და თმისა, კარგად ჩასხმული და ბრაზიანი დედაკაცი, მიმყოლი ყოვლისავე მკითხაობა-წამლობისა და მეორე ლ...და უმაწვილი ქალი, ოდენ 16-ს წლისა, იმისი წაბლის ფერი თმა აშვენებდნენ მალზე თეთრ წითელსა სახესა და შავ თვალ-წარბთა მისთა, შუათანა ტანისა და როგორც ძვირფასი მარგალიტი სადაფში, ეგრეთ დამალულ იყო უფრო განგებ დაბალს საცმელში, ეცვა მას ხასტინკის გრძელი კაბა, უბრალო შალით შუბლი და წარბები ჰქონდა მოხჳეული, იქიდამ კულზე გადახვეული და სარტყელში როგორმე გამაგრებული, უბრალო გრძელი მაუდის წამოსასხამში დამალული, ერთი სიტყვით ეს უებრო მშჳენება შენახულ-იყო იმოდენა ხანს იმდენს სიმრავლეში რომ, ვერავინ შეამჩნია, კაცის თუალი ვერ მოხვდა მის მშჳენიერებასა.

კარაქისა და რძის ტარებისაგან, ამ ქალის დედა ლ..ტა დასნეულდა, მამა ვერ ატარებდა გასასყიდავათ. მათში ჩჳეულება არ იყო კაცისაგან და საქმეებიც ბევრი ჰქონდა, მხოლოდ ეს ერთი ოდენ ქალი ჰყვანდათ.

მეტი ღონე არ იყო, უნდა ამ ქალს ეტარებინა, ამ ქალისაგანაც ცუდს შემთხვევას ფიქრათაც ვერ წარმოიდგენდნენ, რადგან თანა მოგზაურსა მისსა, მოხსენებულს მამიდასა ამა ქალისასა დედ მამისაგან დავედრებული იყო, რათა მგზავრობაში და ყოველს დროს არ განშორებოდნენ ერთმანეთსა.

ფიცით დარწმუნებულ-იყვნენ მ..საგან დედ მამა რომ, თითონ ფრთიან ეშმაკსაც კუდს მოსჭრის, არამცთუ მისგან ვინმე რამ ისარგებლოს, მასთანვე მი....ნამ თავის კუდიანობით მოიგონა ისეთი ღონის ძიება რომ, ლამაზ ლ..დას წაუსვა რაღაც შემზადებული წამალი პირის სილამაზის დასამალავი ასე რომ, ამ წამლის ძალით უჩამდა მხოლოდ ლოყები და ცხვირი ჭორფლიანი და აქა იქა შავებ დაცემულნი, უკეთუ კაცი სიახლოვით არ დააკვირდებოდა ვერა სცნობდა, ან კი ვინ მიაქცევდა ყურად ღებასა სახით და საცმლით განკებ დამახინჯებულსა.

კაცი მაშინვე გაიბრუნებს უკან პირსა რა იმის თუალსა უსიამოვნო რამ მოხვდება, თუ რამ ქალის სილამაზე, ესე იგი; გარეგანი მორთულობა, ან სასიამოვნო რამ ნახა, მაშინვე დააკვირდება, რა საკჳრველია გარეგანის მორთულობითაც ბევრნი სცდებიან და ზოგიერთთა მდიდრულის მცმელთათჳს ისრეა მოსასხდენათ, როგორც უბრალო ცხენს ოქროს იარაღი.

ხსენებული მ...ნა ამ ღონის ძიებით ქალისაგან აღარ შიშობდა, განაგრძობდნენ თავიანთს მგზავრობას,

ქალაქში შესულნი, მ.. სხჳას ქუჩას და ის სხჳას შეუხვევდნენ, რა რომ, გაჰყიდდნენ, ბოლოს მათგან დანიშნულს ალაგს შეიყრებოდნენ და წამოვიდოდნენ ერთად ფულებითა. ამ გვარი ვაჭრობა განგრძელდა რამდენიც წლოვანებაში შედიოდა, იმდენი თან და თან იმსებოდა და ემგზავსებოდა გავსილს მთვარესა. აჰა კიდეც გადადგა 17 წელიწადში და იგი იყო უმანკო ჯერეთ, მსოფლიურ ბიწ აუღებელი.

ამისთანა მშჳენიერებასთან, ჰქონდა სამაგალითო თჳსება, თუმცა იყო მარდი და ენით მჭევრი, მაგრამ ძრიელ ეჭირა თავი თჳსი, იქცეოდა მშვიდად და წყნარად, თავისს მოსვლაში ანუ ვისთანმე ლაპარაკში თავ მოხრით იმ გზაზე და იმ საგანზე თვალებ მიქცეული, თითქმის ნახევრად პირ დაფარებული, ძნელად მიიხედავდა აქეთ იქით, გინა მაღლა, ფრთხილობდა თავისი მშჳენიერება არავის დაენახა, სრულიად არა ფიქრობდა თავის სილამაზეზე ანუ ბედზე რამ, მოსწონებოდა ვისმე წესისამებრ ზოგიერთთა ქალთა, რომელთა ძრიელა სურსთ გააკვირვონ თავიაანთის მშჳენიერებითა და მიიზიდონ თჳალი და გული მაყურებელთა. ქალის დაუკითხავად მამას და დედას დაენიშნათ კიდეც თავიანთ მეზობლის შვილზე და ამზადებდენცა მისთჳს, რომელი სასიძო იმ დროს დაჰგვიანებოდა ქალაქს გარეთ წასულსა რომელსამე ფოდრათში, უკეთუ ლ..ას დედ მამა ან სხჳა საქრმოზე სიტყჳას გაუტარებდნენ, იგი უკმაყოფილოდ მოკლედ უარს ეტყოდა და თითქმის ვერცკი გაუბედავ-

დნენ კარგად გახუმრებასა, რადგან ძლიერსა გამოთქმასა მისსა ვერ უპასუხებდნენ.

დედ მამას ჰკიცხავდნენ კიდეც რომ, იმისთანა ქალსა ჰგზავნის იმ ალაგებში, ხადაცა მრავალნი განსაცდელნი არიან, მაინც კი მიაწერდნენ ძლიერად ქალის თავის დაცვასა და იმის მამიდა მშვიდობით მიმოსვლისათჳს, დედ მამათ ვერ გადასწყვიტეს იმისთანა სარგებლიანის დაწყობილობის მოშლა, დრონი მიჰფრინამდა და როგორც უზომო ფულის ანგაარი, აკოცებდა მამა ლ..ს და მიითვალავდა მისგან მოტანილს ფულსა.

ეს ნემენცი კ..სი იყო, მაღალი, გამხჴვალი, წვერიანი, გაუზრდელი, მცირე წყენაზე ცეცხლივით ანთება, ხარბი, მუნწი, ჰქონდა კარგი ვენახი, სახლი, ექუსი ცხენი, ოთხი კარი, ოთხი ძროხა, სამი მოჯამაგირე, ამ კარებს და ცხენებს ამუშავებდა ძლიერად, ხნამდა მიწებსა ბლომად, ამუშავებდა ჰოვოსკებს, ფურგუნსა, დღე და ღამე იმისი კელი მუშაკობისაგან არ დასცხრებოდა, ყოველსავე ჰაჩინკას თითონ აკეთებდა, ეჭირა კელში ჩაქუჩი, ხერხი, ხან სადგისი, ნემსი და ტრიალებდა ჩარხივით საქმეზე.

ამისი ცოლი ლ...ტა იყო, რიგიანი და ლამაზი მანდილოსანი და მშჳჵნიერი ლ..და მათგან გამოსული როგორც ვარდი ეკალთაგან.

## 5.

დროსა ამას, ქალაქს, რომელსამე ქუჩაში სცხოვრებდა შვილი აქაურის დიდის მებატონისა, რომელსა ჰქონდა დაქირავებული ძირის ატაჟისა საუკეთესო სახლი, ამ ყმაწვილს კურს შესრულების დროს პეტრებურღში მისვლოდა წიგნი რომ, დედა იმისი ნახვის ნატრული გარდაიცვალა და მამაცა აგრეთვე სულთ მობრძავი ელის იმის ნახვასა და სულის ამოსვლას, ამისთჳს მოისწრაფოს მოსვლა.

შეწუხებული საჩქაროდ მოვიდა შინა, დახვდა მამაცა მკჳდარი და როგორც ერთს ოდენ მემკვიდრეს ყოვლის იმის დაშთენილის ქონებისას, მამულების მოვლას და იმის გარემო მოდავეებს ძალიან შეეწუხებინა. ორს წლამდინ, ზოგიერთნი საქმენი სისრულეში მოეყვანა, მერმე დაეყენებინა კარგი გამგებელი საკუთარს საყმო სოფელში და თჳთ დაეწყო სამსახური. მაღალს სამმართველოში ეპყრა კარგი ადგილი.

ეს ყმაწვილი ი..ე იყო სახითა, ტანადობითა მშჳენიერი, ჭკუიანი, სწავლული, მშვიდი, კეთილი, მოწყალე. წლისა ოდენ 26-სა. იგი დილის მეცხრე საათზედ გამოვიდა ხალათით თავის კაბინეთისა და ზალის გვერდით ტახტებით კარგათ მორთულს ოთახში და დაიძახა: ვარდისახარ?

ბატონო! უპასუხა ტახტზე მჯდომმა მანდილოსანმა,

რომელი იყო უმეტეს 50-სა წლისა, ერთგული გამზრდელი მისი. სახითა შავგრემანი, საკმაო სქელი, დიდად მღვთის მოყვარე, ავის ენისა და საქმისაგან განშორებული და კეთილთათჳს მზა.

უთხრა მებატონემ, როგორა გგონია, ის ჩუენი მცნობი ნემკა ამ დილით რძეს, კარაქს, არ მოიტანს?

უეჭველად. მოახსენა ვარდისახარმა, ყოველს დილას მოდის ხოლმე. განა ეხლა რა დაეფეთება, რათ კითხულობთ შვილო, რძე გინდა ჩაისთჳს?

რასაკჳრველია! რძეც მინდა, მაგრამ უფრო კარაქი, ხვალ სტუმრები მეყოლება.

ამ დროს შემოყო თავი და შემოვიდა ცნობილი ლ..და გადაფარებულის გიდელათი. იანვრის ყინვას საბრალო, თითქმის გაეყინა, მტკვრის პირზე იმოდენა გზა გამოვლილს ხელები, ფეხები და ცხვირი სიცივისაგან დალურჯებოდა, მასთანვე თავი რომლითაც შეხუეული ჰქონდა მოშლოდა, ეზოს კარის გამოშვერილს ლურსმისთჳს მოედო, მოეხადნა თავი, იმას მოშლილი თმა და მოსახვევი სიცივეში გაციებულის ხელებით ვერღა გაესწორებინა, ისე ჰქონდა მობორძლილი. იმან გიდელა ძირს დასდო რა, ორივე ხელები პირთან მიიტანა, ვითამ თფილის სულით ხელების გასათბობად.

ი..ემ როგორღაც უნებლიეთ უტაცა ორივე გაციებული ხელები, დაუჭირა, ვითამ თავის თფილის ხელებით გასათბობად.

წინა აღმდეგ, ნემკა თუმცა სცდილობდა წასვლოდა

მაგრამ, ი..ეს ძლიერს კელებს ვერცკი დაეძრა, მაშინ ლ..დამ მალ დატანებულმა აიღო თავი შეხედა და უთხრა: ბატონო გთხოვთ გამიშვათ.

ლ..დას მაღლა ახედვასთან, თავი უბრალოდ ხვეული უკან კისერზე გადაეკიდა, მოესადა თავსა და გადმოეფინა თმა, მაშინ ი...ეს დაკვრვებულ თვალთა მოხვდა შავ თვალ წარბნი გულის გამგმერნი, შუბლი ბროლებრ თეთრ სპეტაკი, თმა წაბლის ფერი, მოელვარე, და სახე რაღაც წამალ სმული, რომელსა შემკრთალს ესრეთის ხილვისაგან თითქო ელვამ დაურბინა ძარღვებში, განშორებულმა სიჩუმით წარმოსთქვა: ღმერთო ჩემო! ამას რას ვხედამ! ნეტარ რა ვიფიქრო! ნუ თუ ჩვეწნება ესე მკვდლთა წარმართთა რაიმე ჯადოსნობა იყოს? ანუ ვენერა ღმერთა მშვენიერებისა?

მოიცვა იგი განკვირვებამან, მერმე თითქო ძილისაგან გამოღვიძებულმა ყოუმობით ველარა გამოსთქვა რა, შევიდა სახქაროთ შინა უფრო ამიტომ გულის მღელვარება დაეუენებინა, აგრეთვე ეფიქრებინა თუ რა საიდუმლოება უნდა იყოს ამ ქალშია! ანბობდა თავისთვს ვიცი ქალები ისმენ სახეზე მშვენების მოსამატებლად და არა ასე დასამახინჯებლად მშვენიერებისა, ეს საბრალო ნეტარ თუ რა მდგომარეობაშია! ამისი ცნობა საჭიროა! მაგრამ რა ვქნა! საიდამ, ვარდისახარ კარგია! მაგრამ მკვდლი ადამიანია, რომ უთხრა კიდეც გადირევა, უნდა სხვებრ ვეცადო თუ არ ვსცდები უნდა იყოს უებრო მშვენიერი.

შემდგომ შჳდის მინუტისა, ისევ გამოვიდა დამშჳდებულის სახით და უთხრა: გამდელო? თუ ცხონება გინდა ეგ ქალი გაციებულია ბუხართან გაათბე, ჩაი დაალევინე, მეც აქ თქჳენთან დავლევ ჩაისა და თან ჩამოჯდა სკამზედ ბუხართან პირის პირ ნემკისა.

ლ..ს გული უღელავდა და სცხვენოდა თავის სახის საიდუმლოების ცნობისათჳს, თავ ჩაღუნული ძირს იყურებოდა.

თუმცა ბუნებითი ცნობის სურვილი ი...ეს იზიდავდა და გულში ნელ-ნელა ეზრდებოდაცა სიყვარული, მაგრამ კეთილ გონიერებითა თჳსითა წარმოიდგენდა ამა ქალის ვინაობასა, პირ მიბრუნებული იტყოდა: რა ჩემი საქმეა! რას ევანება! ფუ ეშმაკო რას ჩამაცივდი?

ლ..ამ ჩვეულებრივ მოხვეულმა ამ შემთხჳევას ყურად ღება არ მიაქცია დაშთა ისევ თავის გულის უმანკოებაზედ, აგრეთვე ვარდისახარმაც საქმეში გართულმა ვერა გაიგორა რაც მოხდა ვითამ ყოველივე ჩჳეულებრივ მიდიოდა, ი..მ იყიდა რაც რმე და კარაქი ჰქონდა დაუთვალა მეტობით ფული, მასთანვე ი..ე გააკვირვა იმისმა მარჯვე პასუხებმა, რასაც კი ოდენ ჰკითხამდა, შემდგომ ჩაის დალევისა ქალი წავიდა და ი..ცა გავიდა საქმეზე.

მაგრამ ივანეს მდგომარეობა მრთლად შეიცჳალა, იყო დიდს ფიქრებსა და წადილის ბრძოლაში ხან და ხან წარმოუდგებოდა ისრეთ სახილველად რომ, მოგო-

ნებაზედ შეთრთოლდებოდა და მრთელის სხეულით შეი-რყეოდა ბოლოს მაინც კი ძალ დატანებულმა გადასწყვი-ტა თავისის აზრით ეს უხამსი სურვილი აღმოფხვრას თავის გულისაგან, განაგდოს როგორც თავის მომხიბ-ლავი ნემკა ეგება მაშინ მოისჳჱნოს მაგრამ, უმეტესმა სახილჳჱლმა გააკვირვა.

ვარდისახარს დიდად ცნობის მოსურნეს დიდის ცდით დაებანა პირი ლ..დასთჳს და ვეღარ მოესწრო აღრინდელე-ბრ სახის დაფარჳა რაღაც წასასმელით, ამ დროს უცებ მოესმა ხმა ძლიერის ყჳრილისა, ქალთა ჟრიამული-სა, ეძახდნენ ვარდისახარს უშველე! ჩქარა! ყმაწვილი შენის დის წულის საბანაძისა ჩავარდა ჭაშიაო! ამისი გამგონებელი ვარდისახარ გავარდა ისარივით, იქვე გვე-რდით და ვიდრემდისინ ოც და ექვსი არშინის სიღრმის ჭაში ჩავარდნილს ყრმას ამოიყვანდნენ და მოასურიელე-ბდნენ, მანამ ლ..და მოულოდნელად დარჩა მარტო მჯდო-მარე ოთახში ელოდა ვარდისახარს.

დროსა ამას მოუფიქრებლივ, ი..ე შევიდა შინა უნ-და განვლოს ვარდისახარის ოთახი და უცების მოხედ-ვით ლ..ა შეკრთა და დაიღო თავი მირსა.

ი..მაც გაოცებულმა წარსდგა ბიჯი წინა მიუახლო-ვდა რა ქალი ტყუილად სცდილობდა არ ეჩჳჱნებინა თავის სახის საიდუმლოება, მაგრამ ი....მ კიდეც შეა-მჩნია თითქო დამნაშავეს სიცრუე და განიცადა გაფურ-ჩკვნილ ვარდისაებრ სიტურფე სახის მშჳჱნიერებისა მი-სისა, აეგრძნო მეტის მეტათ და მოეხვია მხურვალი-

თა კოცნითა, მასთანვე აღელვებულმა უთხრა ლ..დას? შენ როგორც ქურდი ეპარები ჩემს გულსა; მე ბევრს რასმე ვფიქრობ შენზე, დღე და ღამე მოსჳჱნება არა მაქჳს, ბოლოს სიყჳარული აგიყვანს უმაღლეს ხარისხზე.

შემდგომ ხუთის მინუტისა, ვარდისახარის შემოს-ვლით განთავისუფლებულმა ქალმა ამოისუნთქა რა ჩა-ყუნტდა ბუხრისა და ტახტის წინ, მერმე ადგა მოიხვია თავი მოიწმინდა ცრემლნი და წავიდა, მივიდა თუ არა შინა დაწჳა ქჳჱშაგებშია მოიგონა ავათ მყოფობა, სა-მს დღეს თეთრეული სულ წაუხდათ, მამამ შეწუხებულ-მა მოიანგარიშა შემოსავალი ბევრი დააკლდებოდა თუ ძროხების ეკანომიას მოშლიდა, ამის გამო დედ-მამა ჩაცჳვდნენ დიდს მწუხარებასა, სხჳას ვერ ანდობდნენ გაყიდვას, ამისთანა გარემოებაში არ იცოდნენ რა ექნათ.

ლ.. იყო დიდს ფიქრსა და მოუსვენებლობაში, ოხ-რამდა ხშირად ერთს ადგილს ვერა დგებოდა დაწვებო-და და ადგებოდა, უთხრა დედამ: გენაცვალე რასა იქმ შვილო? ვინდა მოვაყვანინო ჩჳჱნი აქიმი რა გტკივა?

აბა! ბა! ბაა!! აქიმი არ მინდა! გაივლის თავის თავათ მირჩება თავი ჩემთჳს ნუ ინაღვლი კარგათა ვარ, რა ვქნა! ცოტა ხანს მევე შევიძლებ გაყიდვასა რძისა და კარაქისასა, ამასთანავე ლ..ს გული იქმნა გა-მოცვლილ და სრულიად შერყეულ, აქამომდე გაციებულ და ბუნების წინააღმდეგი ასლა შეიქმნა ქჳჱმდებარე გუ-ლის თქმისა და მიმზიდველი მამა-კაცთადმი, მას აგონ-დებოდა ი..ს უხჳად ფულები და სიყჳარულიანი, გამოთქმა

რომელმა საყჳარლად მოხჳეულმა უთხრა დღე და ღამე ჩემი ფიქრები შენა ხარო.

ამ სიტყჳების მოგონებაზე ნელ-ნელა შეეჩვია სიამოვნებასა, მერმე ასე გაუძრიელდა რომ, ვერღა შეიძლო შემაგრება თავისის გულის გრძნობისა, გული მისი უხილავად იზიდებოდა სიყჳარულის უფსკრულში მომავალს შემთხჳევას ვერღა მოიფიქრებდა, თან და თან უცხოვლდებოდა და სიყჳარულის ტყვე ხდებოდა, მას თითქო კიდევაც უნდოდა გაეგონა ი..საგან იგივე ალერსიანი სიტყვები მით დამტკბარ იყო.

შემდგომ ამისთანა გაურკვეველის ფიქრებისა მეოთხე დღეს ჩჳეულებისამებრ, განემგზავრა, ცნობილ მამიდასთან ერთათ ქალაქისკენ, მოვლო ჩჳეულებრივნი მცნობნი, მიჰყიდა რძე და კარაქი, ვარდისახარმა რა სცნო ავათ მყოფობა მისი უთხრა მრავალი ალერსიანი ნუგეში.

ლ. განაგრძელებდა თჳსსა დღითი დღე რა მსველელობას, ხშირად შესვდებოდა ი..ეს თჳალთა და ადვილ საცნობელ იყო რომ ძირს მაყურებელი იწყებდა გულით ღელჳას, ხოლო ი.. ძალ დატანებული ითმენდა კიდევ და ჰფიქრობდაცა როგორმე გულიდამ დავიწყებასა, ცხადად წარმოიდგენდა რომ, იმის პატივს დასცემდა ეს საქმე, მაგრამ არა ეშველარა, მით რომ, იქ არის სიყჳარულის ძალი უხილავი დამპყრობელი, აღარ ირჩევა კეთილ-შობილება გინა ბრწყინვალე გჳამობა, აქ არის ლიტონი ანუ ზნეობითი პირი, ამ ზნეობითმა კაცმა

შეიყუარა ქალი ისეთი რომელიც სწორეთ და უმეტესა-დცა ქალის ღირსებით აღუჭავებულია, გარჩევა აღარ არ-ის ბოლოვდება მით რომ, გულში დაისადგურა ებრძო-ლა ამისთანა სურვილისა თჳსისა განდევნასა, ცდითაც ეცადა ბევრი ითმინა მაგრამ არა გაეწყორა, ისევ ჩუჩ-ულებრივს ბუნების კანონს დაემორჩილა და შეიქმნა ტყვე ამ ქალის სიყუარულისა განათლებული ვჭამი, შვილი ივერიისა.

6.

ი...ემ ვარდისახარ გაგზავნა სოფელში რომელიმე ში-ნაურის ეკონომიისათჳს და დაშთა სვიმონა ლაქიისა და პეტრია მზარეულის სინაბარ, დროსა ხსენებულის ლ..ას მოსვლიისას, ი..ემ უბრძანა სიმონას რომ, დღეს ავათ არ-ის სამსახურში არ წავა ვერცავის მიიღებს და ნემკა რა მოვიდეს რმე კარაქით კაბინეთში შემოიყვანოს.

ერთგულმა ლაქიამ აღასრულა ბრძანება თჳსის ბა-ტონისა, წარუდგინა ლ..ა მსწრაფლ გაკვირვებულთა თუა-ლთა მისთა.

ქალი რა შევიდა ვარდისახარის მაგიერ ი..ეს ხილ-ვაზე შეკრთა და დაიწყო უკან წევა, მაგრამ ი..ემ და მსა-ხურმა მისმა მლივს დაიმორჩილეს და კუალად სადაცა სთხოვდნენ დაჯდომასა, იმის მაგიერ მირს ჩაუუნტდა, ი..ემ უბრძანა სვიმონას გაიტანოს რმე და კარაქი მრთლად მიიღოს იმისი ფასი, ამის გაყიდვისთჳს საათ ნა-

ხევარს მოუნდება და რომ აღარ იაროს იმოდენა სანს აქ დაისვენოს,

არა არა! ბატონო? მოახსენა ლ..მ, ჩემი მამიდა მამძებნის, რო ვერ მიჰოვნის რას იტყვის? უთხრა ი..ემ მამიდა შენმა თუ იცოდეს ჩემი გრძნობა, მაშინ იტყვის: თავის საყუარელთან შეექცევაო; ბებრებს სოფლის სურ-ვილი რო დაკარგული აქუსთ ყმაწვილებისა ეჯავრებათ.

მოახსენა ლ..ამ გაბედვით: ბატონო ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ი..ემ მითხარი? ღუთის გულისათჳს, ჩქა-რა მითხარი? მე მზა ვარ დიდის სურვილით მოვისმენ?

მოახსენა ლ..ამ ჩემი მეზობლის ქალი შეიყუარა ერ-თმა თქუჱნსავით დიდი კაცის შჳლმა, შერთვის ჰირ-ობა მიეცა, მერე ვაჟს დედ-მამამ შეუტყეს და გააშვები-ნეს, საწყალი ქალი კინაღამ ჩააქვავეს, სირცხვილით ველარავის ეჩუჱნა დაჭლექდა და მოკუდა. ის რომ მო-მაგონდება შიშითა ვსდნები?

ი...ემ ამ სიტყვებით გაცხარებულმა, გააშვებინა დედ-მამა შენა გუამს? მაგრამ.. ჯერ დაასრულე?

ლ..ამ ყოყმობით და მორცხობით მოახსენა: მე რომ არ შევიშინო ჩემის დედ-მამისა, არც ნათესავებისა და ჩვეულებისა, მე შემეშინდება ჩემის საწყალის გულისა-გან, რომელიც დაცემულია თქუჱნს წინა! ჩემი ბედნი-ერება და უბედურება რაღა გავაგრძელო ჩემი სიცოც-ხლეცა.

ამ სიტყუჱბით აღძრულმა ი..ემ უთხრა ლ...ჯან!. იცოდე რო მეუჴანდეს დედ-მამა, არა ვკითხამ, ნათესავნი

თუ მეგობარნი, გინა ჩჳჱულება ვერ დამაბრკოლებენ ვე-რა რას, ჩემის გულის სურვილს ვინც ეწინააღმდეგება იმას ავათ მოვეპყრობი, მე არ ვეძებ დიდ გჳარიანს და მზითვიანს, არც შენს ვინაობას, მე გადავსწყვიტე შენ მამწონხარ, შენის მეტი არავინ მინდა! სამსახურშიაც რომ არ ვიყო კარგი შემოსავლიანი მამული მაქჳს, გვექნება უზრუნველი ცხოვრება შენი მომზადება ყოვე-ლივე მე ვიცი, ბოლო ჯჳარის წერა იქნება, ამაზედ რას იტყვი? ლ..ამ ძირს მაყურებელმა და გულით კმა-ყოფილმა, რაღა მოგახსენოთ მეც თანხმა ვიქნები.

უთხრა ი..ემ ძალიან კარგი? იყავით მოსვენებით. ქალი დარწმუნებული სიხარულით სამსე წავიდა, რა და-შთა მარტო, ი..ემ წამოიძახა ღმერთო ჩემო? რა უმან-კოებაა! რა გულისაა! მაგრამ რა ვქნა! როგორ მოვა-გჳარო? ან რა ვიფიქრო? ეს მშჳჱნიერი ქმნილება სა-ვსე ჭკუითა და ნიჭიერებითა გადაგდებულია! ფასი არა აქჳს არც მშჳჱნება, ისე როგორც თავის ალაგს ალ-მასსა? რომელსა აქჳს მაშინ მხოლოდ ელვარება რო-დესაც გაითლება გინა გაიწმინდება, ეგრეთჳჱ ამ ქალის გონებას უნდა გათლა. ესე იგი, სწავლა რომ გამოს-ცეს ალმასისაებრ ბრწყინვალება. ეჰ! რაც იქნება იქნება. უნდა გამოვიყჳანო ვინც რაც უნდათ სთქჳან.

ი..ემ დააბეჯითა რა თავისი ფიქრი, გაემართა თა-ვის მამიდა ქვრივს ელისაბედთან, რომელი შემდგომ დედისა უყვარდა, იგი ატარებდა ბრწყინვალეს ცხოვრე-ბითა სასახლე ჰქონდა დიდ მშჳჱნიერი ბაღჩა ხეივნი-

ანი, ორის მოახლისა და ორის მსახურის სინაბარ, უთხრა: მამიდავ, გახსოვდესთ მარტოს თქუენ მოგახსენებთ ჩემს სურვილს! ძრიელ ნუ გაჰკვირდებით, მე უნდა ვიქორწინო ერთს ნემენცის ქალზე რომლისათჳსაც მოვსულვარ ამაზე რჩევისათჳს.

მიუგო ელისაბედმა, რას მეუბნებით? როგორ თუ ნემენცისა, უთუოთ მაღალის წოდებისა განათლებული, ან მდიდრისა იქნება, აბა მითხარ ვინ არის ან ფული რამდენი აქუს.

უთხრა ი..ემ: ფული არც ერთი არა აქუს, ტანისამოსიც მე უნდა შეუმზადო, რძესა ჰყიდის.

მიუგო ელისაბედმა, დღეს აპრილია შვილო? მოხუცებულს მამიდასთან ხუმრობას აპირებ?

უთხრა ი..ემ, მე აქ სახუმრელს ვერასა ვხედამ მართალს მოგახსენებთ.

ელისაბედმა გაოცებულმა, თუ არა ხუმრობთ? მაშ როგორ ვიფიქრო? იქნება იმ ახალი გადმოსული ნემენცებისაგან ვინმე იყოს?

უთხრა ი..ემ, ჰო ნემენცის ქალია ვნახე ძრიელ მამეწონა.

მაშინ ელისაბედმა შეჰყვირა, ეს რა გავიგონე! ეს რა შეურაცხებაა! რა საზიზღარი საქმეა! გაგონილა! თქმულა! მერმევე გონბიო? ქუჩა ქუჩა მაწანწალა! ვაი ჟურებო? თუალებო? დადექით? გენაცუალეთ აქამდინ ყველანი მოველოდით როგორც განათლებულის კაცისაგან სამაგალითოსა და სასარგებლოსა რასმე საქმესა,

ნაცვლად ამისა დასდევომიხარ უგუნურს და საკიცხავს საქმესა; გენაცვალოს მამიდა შვილო? მოდი გონსა შე-აფურთხე ეშმაკსა; ამოიღე გულიდამ ეგ აზრი.

ი..ემ ქუდი აიტაცა და უთხრა: მამიდავ? მერმევეა მაგრამ ამირჩევია საცოლედ. ამასთანავე ჩემი ვალი შე-ვასრულე, ახლა რადგან ეწინააღმდეგები ჩემს სურვილს მეც აღარას გკითხამ მშვიდობით.

ელისაბედმა სტაცა ჴელი მოაბრუნა, დაისჳა გვერ-დით და უთხრა: მოიცა ნუ სჯავრობ კარგათ ვიფიქროთ.

უთხრა ი..ემ: საფიქრებელი აღარა მაქჳსრა? მე ვა-ნბობ, საცოლე ვიშოვნე მშჳენიერი, ჭკვიანი გონიერი.

მიუგო ელისაბედმა: შვილო მოიფიქრე შენი ოჯა-ხისა და შენის ღირსებისათჳს როგორი სირცხვილია? რას იტყვიან ნათესავნი და მეგობარნი? ან რის მაქნი-სი იქნება, ოჯახში და საზოგადოებაში, უწურთვნელი უსწავლელი, დამიჯერე დაანებე თავი, გირჩევ შეირთო თუ პელაგია არ მოგწონს სხჳა არის უკეთესი, მოცი-ქული კიდეც მოვიდა ჩემთან, დიდის თავადის ქალი დიდი მზითვიანი, შენგან ერთი სიტყჳა თანხმობისა მა-შინვე ყოველივე მზათ იქნება.

მე გაგითავე, უთხრა ი..ემ. იმის მეტი არავინ მი-ნდა, ამასთანავე ვინ გითხრათ თუ არ მაღალის წოდე-ბისა, კაცნი არც ქალნი არ ვარგანან, ეგ ტყუილია! პირადი ღირსება უმჯობესია გვარევნობასა; ერთი სი-ტყვით ვისაც თჳთ ბუნება მიანიჭებს მაღალს სულსა და შეამკობს ყოვლითვე ბრწყინვალე ღირსებითა გამო-

ბრწყინდება წინაშე საზოგადოებისა? და აღვალსცა უზე-
ნაესსა დიდებასა, მაშასადამე მე ვჰპოვე ქალი შემკობი-
ლი, ღირსი ჩემის ცოლობისა, არ ვჰკითხულობ რა წო-
დებისაა, გაიგეთ თუ არა?

რა ვქნა! შვილო? უთხრა მამიდამ, შენი ნებაა! რა-
და გესწავლება! აბა ახლა მითხარი რაში მოგეხმარო.

მიუგო ი..ემ, ახლა მგონია მიხვდი; მე უგუნურათ
არ ვიქცევი, მე ასე მინდა, ექუსი თუე მაინცა იყოს აქ
თქუენთან ტანისამოსი და ყოველივე მოუმზადოთ მიუ-
ჩინოთ ჩუენი უჩიტელი ვასილ ივანიჩი ასწავლოს წე-
რა კითხვა, აუხსნას რუსული, ქართული, ნემეცური
ლაპარაკი ხომ იცის და თქუენცა რასაკჳრველია სახ-
ლოსნობისას ასწავლით მინამდისინ ჩემს საქმეებსაც
მოვრჩები და დავიწერ ჯუარსა.

მიუგო ელისაბედმა, ახა ღმერთო ჩემო? მანდაც
გამოდის მოტაცება რას იტყვიან ხალხნი? თუ არა და
იმ ქალსა ეყოლება დედ-მამა სახლიც ექნებათ.

მე იმათ არ ვენდობი, რა ვიცი ბოლოს რა გამო-
ვა, მეორეც ესა რომ, აქ ჩუენს ნებაზე მოვამზადებთ
ვასწავლით.

სად არის ეხლა? ჰკითხა ელისაბედმა.

დედ-მამის სახლშია, უთხრა ი..ემ, რმეს ატარებს,
ხუალ მოვა თუ არა საღამოზე აქ დავბადებ.

გაგონილა! წამოიძახა ელისაბედმა, მაგრამ მე და-
მავიწყდა, ჰო! რა გაეწყობა ეგრე იყოს.

ამასთანავე უთხრა ი..ემ: მე ეხლავე წავალ მოვი-

ლაპარაკებ ვასილ ივანიჩთანა, მკერვალიც თავის დრო-
ზე მოვა ტანისამოსზე მოვილაპარაკებთ ნახვამდინ მშვი-
დობით.

მეორეს დღეს ჩჳეულებისამებრ მოვიდა ი..ეს სა-
ხლში ლ..და ჲ საღამოზედ წარუდგინა მამიდასა ჲ მა-
მიდამაც რა იხილა უბრალოს ტანისამოსში გახჳეული,
კინაღამ მწუხარებით გული შეუწუხდა ჲ მაინც კი და-
იკივლა ვენაცვალეთ ამას რას ვხედამ! უნდოდა მეისვე
გაევდო კარზე მაგრამ ი..ეს ხათრითა ჲ მორიდებითა
თავი შეიმაგრა ჯერ სანობით, მერმე რა კარგათ გას-
ჩხრიკა დაწყობილობა სახისა ტანადობისა ფეროვნები-
თა ჲ სიცოცხლითა საჳსე, მაშინ სიხარულით კინაღამ
გული ამოუვარდა, ქალი დამორჩილებული ბანეს აბა-
ნოში; ჩააცვეს ქართჳელთ ჩჳეულებისამებრ საუკეთესო
საცმელი ჲ უცებ გამობრწყინდა ქალი მზეებრ განშჳე-
ნებული.

ამისთანა ყოფით შეუმზადეს სამყოფი დაუდგინეს
მსახურნი ჲ დაუწყეს წრთვნა, სწავლა სხჳა ჲ სხჳა სა-
განებისა.

7.

მამიდამა ამა ქალისამა მ..ამ, სამჯერ მისულმა სა-
ხლსა ი..სა იკითხა ჲ მსახურთა უთხრეს: ლ..ა დი-
ლას იყო ჲ წავიდაო, გაბრუნებული მივიდა შინა იკი-

თხა თუ არა მაშინვე დედამ ჲ სხუათა დაიძახეს: ვაი უშველებელსა! ქალი დაკარგულა ჩქარა ჩქარა! მიატა-ნეთ ფეხ ჲ ფეხ უშველეთ? თორემ დაიღუპაო, მისცვი-ვდნენ მ....ს დაუწყეს ჩხუბი, წეწა როგორც დაჰკარგე წადი თვალები დაითხარე იპოვეო? თორემ ვაი შენს თა-ვსაო? ზოგმა სთქუჩს ეგ ავი სულია! ვინ იცის ქალს რა უყო თუალ ჩაჩინო ქალია! თუ არ იპოვოს დაარ-ჩეთ ჩააქუავეთ მაგისი ბრალია.

მ..ამ ამოიოხრა რა, გამობრუნდა უკანვე, წამოი-ყუანა ბიჭი საძებრად, ფიქრისაგან გაბრუებულსა არ ეს-მოდა მეექვსედ ქუაზე გადაჩეხსა, ანბობდა თავისთჳს: ეს რა ცეცხლში ჩავარდი! რა ვქნა! სად ვიპოვნო? ბატო-ნმა ი..ემ ხომ არ დამიმალა ხომ არ ნახა იმის სილა-მაზე, მაგრამ ის საგანვებო დიდი კაცია არ იკადრებს ურიგო საქმეს, მაინც კი იმას უნდა ვკითხო? ახ! წამოიძახა უცებ ბებერმა ძლივს არ მამაგონდა! მეიდ-ნის პირის ბაყლები, ოჰანა ჲ საქუა, ორნივენი ამ ქა-ლისათჳს გაგიჟებულნი იყვნენ, უთუოთ ერთ ერთმა მო-იტაცა, ამასობაში კიდეც მივიდნენ ბაყლებთან აქეთ იქი-დამ დაურეკეს დუქნის წინ დაკიდებულნი პატარა ზარ-ები, ჲ დაუძახეს: ბებერო როგორა ხარ, რა უყავ ლ..და? სიტყვები ესე ტყვიასაებრ მოხუდა ჲ თავიდამ ბოლომდის დაურბინა ჟრუანტელმა, მერმე დაღონებული დადგა ჲ ჰფიქრობდა საიდამ დაეწყო თავისი საქმე, ბოლოს ისევ საქუამ ჰკითხა: ხომ სათქმელი არა გაქჳს რა.

მ..ამ გაიხმო ჲ ჰკითხა: ლ..და ხომ არ უნახამს?

იმან პასუხის მაგიერ გაიცინა, ლამაზი ლ..და? დაჰ-კარგე როგორ არ მინახამს? დღეს მე ვნახე? აი აიმ ოჰანამ ლაპარაკით წაიყვანა აიმ ქუჩისაკენ.

ხედამ მაგ ავაზაკსა! წამოიძახა მ..ამ შეწუხებულმა, მერე რა ქნეს?

მიუგო საქუამ კიდევ მასხარაობით: მერე და მერე რა კითხვა უნდა! ლამაზი ქალი და ბიჭი, განა არ იცი რას იქმოდნენ.

მ..ა დარჩა თავ ზარ დაცემული, ოჰანაზე ეჭვი და-ამტკიცა მაგრამ არ იცოდა რა უნდა ექნა, მერმე ძლი-ვს გაბედა ჰკითხა ოჰანასა, თუ ქალი რა იქნაო.

ოჰანამ გაოცებულმა ძალზე გაიცინა და აქეთ იქით მეზობლებს მედუქნეებს გადასძახა და მერმე წამოიძახა: აი საკჳრველი! ქალაქში ვინ იცის ვინ მოიტაცა! ან თითონ გაჰყვიდა სადმე და მე კი მკითხამს სად არისო, როდის მამაბარე შე ქოფაკო ბებერო? შენისთანას ევრე უნდა, ხმის გაცემას მიკრძალავდი, ცხონდა მამა მომ-ტაცებლისა!

მ..ამ ხვეწნა დაუწყო, დედა შვილობას ნუ დამიმა-ლავ, ემ ქუჩაზე ერთათ ლაპარაკით ჩავიელიათ დღესა სად არის მითხარ.

ოჰანამ დაუყვირა: დაიკარგე იქითა დაა! ხათაე?

მ..ა დარჩა თავ ზარ დაცემული, ძალზე დაღონებუ-ლი დაბრუნდა შინისაკენ სიბნელეში კვნესით.

მამას ქალისას ახლათ მინდვრიდამ მოსულს უან-ბეს დაკარგვა ლ..ი, რომელსა მოეკრზნო ცეცხლებრ, ამა-

ვესა ღამესა დანიშნულიცა ლ..ი მოვიდა, სცნო თუ არა თავ ზარ დაცემული მსწრაფლ მიიჭრა სასიმამროსთან, იმ დროსა, როდესაც მამა ლ..ი აღგრზნებული მრისხანებითა ჯავრობდა, ყვიროდა მოვკლამ! დავარჩობ! ქოფაკ მ..ა! რათ მოიშორა ქალი რათ დამიკარგა! გაჯავრებულმა აიტაცა ჯოხი საცემრად და გაექანა კარებისაკენ, ამ დროს კარებში მომავალს სასიძოს ემკვრა და ჩაანტვრია ცხვირ პირი, რომლისაგან წადენილმა სისხლმა შეუღება ტანისამოსი და იქაურობა.

კ..მა თითქო ახლათ ძილისაგან გამორკვეულმა უცებ დაიყვირა: ამას რას ვხედამ? შვილო სიძე ეგ-შენა ხარ? ვაიმე! ვაიმე! ეს რა სიბრიყვე მამივიდა! ჩქარა ბანბა წყალი?

სასიძომ წყლით მოიბანა პირი და ცხვირის ნესტოებში დაუცო ბანბა სისხლის შესაწყვეტად, მერმე მობრუნდა სასიდედროს კელზე აკოცა და უთხრა კ..ს: თქუენ კაი მისალმება გცოდნიათ, ეს ცხვირი მე აღარ გამამადგება!

მიუგო კ....მა, კარგი ნუ სჯავრობ? ვერ გავიგე? ბოდიშს ვიხდი.

მიუგო სასიძომ და თან ცხვირიდან წადენილს სისხლს იწმენდდა, შენ ჩემთან ვერ გამართლდები მხოლოდ ცხვირ პირის დასამტვრევად როგორ დამიბარე განა ასე უნდა! ახლა ვნახამ როგორ ნამუსიანად ჩამაბარებ ქალსა!

მიუგო სასიმამრომ: ჰო! აბა ეგ არის სამწუხარო?

მე მაგ საქმემ გადამრია! ვეღარა გავიგერა, წავიდეთ ქოფაკი მ..ა ვნახოთ.

უთხრა გ..ა: კარგი იქნება! დ̃ წავიდნენ, მივიდნენ ნახეს მ..ას იმ მინუტს მისულს დაქანცულსა მირს და-ცემულს, მიხჳწჳულნი დედაკაცნი ჰკითხავდნენ რა ჰქნა! ვერ ჰპოვა ლ..და!

მ..ნა ტირილით მიუგებდა, ვენაცჳალეთ ჩამქოლეთ? ქალაქში იმტელ მტაცებელ ხალხში დაიკარგოს რამე განაღა იპოება! რაღა ვქნა! იმის რეტიანს მამას რა პასუხი გავსცე? იმ გასაქრობს ერთს მინუტს განვშორ-დი არ ვიცი რა მიწის მგელი აუჩნდა!

ამ დროს სიბნელეში იმის თჳალთა წარმოუდგა კ..რი საშინელ სულთა მხუთავთა დ̃ გ..ის ჯოჯოხეთის ტარტაროზათა, იმან შიშით აკანკალებულმა უცებ დაი-კივლა საშინელის ხმითა შემიბრალეთ? ნუ მამკლამთ? ნუ დამღუპავთ? ჩემი ბრალი არ არის?

მაშ ვისი ბრალია! შე ქოფაკო? უთხრა კ..მა, შენ ჩავაბარე ლ..და! გვერდიდამ რათ მოიშორე? დაჰკარგე მროხა ხომ არ იყო? მე ბევრს რასმე ვჰფიქრობ შენს კუდიანობაზე. იქნება კიდეც გაჰყიდე? დ̃ ტყუილათა სტი-როდე, ადექ ადექ? წამოდი პასუხი მამეცი, თორემ მაგ შენის ზურგის ტყავიდამ ეშმაკების ქალამანს ამოვასხამ.

მ..ნა უმეტეს დაეცა დ̃ დაიწყო ღრიალი, ვაიმე? ვაიმე? ვაიმე? მიშველეთ? ვენაცვალეთ? ეშმაკების ქალა-მანსაო? ან სად უნდა წამიყვანოთ? ვაიმე! შვილებო? გესალმებით! იმ გასაქრობმა ეს რა ცეცხლი მამიკიდა!

ვაი ჩემს თავსა! ვაი ვაი! რატომ არ ვჰკჳდები.

გ...ს შეებრალა უბედური ბებერი, მაგრამ დაკარგვისთჳს ველარ შეიმაგრა თავი და უთხრა ტირილით, რაღა იქნება, ამაღამ დაანებოს თავი უცნობო ბებერს, ჩჳენ წავიდეთ დრო გვაქჳს ტირილისა! ძლივს დაიყოლია სასიმამრო. გაბრუნდნენ შინა გათენებამდის არ დასცხრნენ ტირილისა და გლოვნისაგან; ვახშამზე გ...ს რამდენსაც სთხოვდნენ არა რასა სჭამდა, შორს გზა გამოვლილი დაქანცული მშიერი, მწუხარებისაგან შეპყრობილი იჯდა და ქვითქვითებდა ცრემლ მფრქვეველი.

მეორეს დღეს მ...ას მოუწოდეს და უთხრეს: შენ ჩჳენო დამღუპაო? გვითხარ სად დაგვიკარგე შჳლი? გვითხარ სად ვეძებოთ?

მ..ამ შიშით აკანკალებულმა მიუგო: ზეით მცა და ძირს დედა მიწა! მე უბრალო ვარ, ნუ დამწჳამთ უცილოს ცილითა! აი როგორ იყო? მე და ლ...ას გვყჳანდნენ სხჳათა შორის ორი კარგი მუშტარი ერთი დიდი კაცი, და მეორე ბაულები, ასე რომ, რაც გასასყიდი რძე და კარაქი დაგვრჩებოდა ის ბაულები ყიდულობდნენ ცოტა იაფად, გუშინ დილას ლ..და შევიდა ნაცნობის თავადის სახლში, მე სხჳა მუშტრებში გავერთჳ მერმე წამოსჳლის დროს მივედ, მეორეთ მესამეთაც ვჰკითხე მაგრამ ველარა გავიგერა.

უთხრა სასიძომ, ის თავადი ან ის ბაულები ლ...ას ცუდის თჳალით ხომ არ უყურებდნენ? რა საკჳრველია! უთხრა მ..ამ, ის ყმაწვილი ძალიან ალერსიანათ ექცე-

ოდა, მაგრამ თავადების წესი ისეთია! აგრეთვე ბაყლე-
ბიც ხშირად შეჭყურებდნენ.

გ.....მა შემოიკრა შუბლს ჴელი და დაიძახა: ამ სა-
მში ერთი ერთია დამღუპველი ლ....სი. ას თუ შევი-
ტყობ რომელია! მე მოვექცევი ისე როგორც რიგია!
მიუბრუნდა მ..ას მაინც იმ ყმაწვილზე ან იმ ბაყლებზე
ხომ ეჭვი არა გაქვსრა? ჩვენ როგორმე ველაპარაკოთ
გავსტყუხოთ.

მიუგო მ..ამ: იმათთან ეს ეჭვებია რომ, იმ ყმაწვი-
ლთან გუშინ შევიდა და მერე აღარ ვიცი. ბაყლებთანაც
ეს არის რომ, ამ ყმაწვილის სახლიდამ გამოსულს,
ოჭანა ბაყალი შეხვედრია და ქუჩისკენ ერთად ლაპარაკით
წასულან.

ორივემ ერთად მისძახეს: ვინ გითხრათ რო ეგ
აგრე იყო?

მიუგო მ..ამ: მეორე ბაყალმა საქუამ მითხრა: აი
ემ ბიჭთანა; ამითიც დასაჯერებელია რომ ის ოჭანა
გიჟდებოდა ლ......ჯს მე მემუქრებოდა რათ მიშლიო.

მაშინ ორივემ ნეკზე იკბინეს, აა! იმ დიდკაცის სა-
ხლიდამ გამოსულა! შეხვედრია ბაყალი ოჭანა და ქუჩი-
საკენ წაუყვანია! ეგ არის ეგა! ეგ ოჭანა ავაზაკი! ჩვენი
ქალის მამტაცებელი. და ეჭვიც ცხადია კ.....რი შევარდა
საჩქაროთ აიტაცა ანგლიური თოფი და დაიწყო საში-
ნელი ყვირილი: გამიშვით! იმ ოჭანას ეხლავე გაუქ-
რობ სიცოცხლესა! გადაიგდო მხარზე და გასწია გაბრა-
ზებულმა, მაგრამ გ.....მა როგორც იყო გამოართვა

თოფი და უთხრა ჯერ წავიდეთ ქალისა გავიგოთ რამე; მერე სასამართლოს კანონი აქუს დასჯიან.

წაიყუანეს შინა, ჰკითხეს მეიდნის ბაყლებს ოჰანას და საქუას, იმათ როგორც გაკვირვებულთა უარი ჰყუჱს, მაშინ გამოუცხადეს პოლიციის მოსამართლეს და დაა-ტუსაღეს ოჰანა, სამს დღეს უკან საქუაც დაიჭირეს, რადგან გადასთქუა ვითამ და არ აჩუჱნა რომ, ოჰანას ლ..და ქუჩისაკენ წაეყუანოს, დასამტკიცებელი ნიშანი ეჭ-ვისა ვერა რა ჰპოვეს, საქუა გამოუშვეს ერთ თუჱზე და ოჰანა დარჩა ტუსაღათ, მაგრამ ლ...ას მამა დედა სა-სიძო ჩაცვივდნენ დიდს მწუხარებასა, დღე ყოველ სასა-მართლოს და აქეთ იქით ძებნაში აღამებდნენ და ვერა გაიგესრა, ანბობდნენ: ოჰანა ავ კაცსა ჰგავს, ცუდი თუა-ლები აქუს, თავის ნებით არა სტყდება! ჴელს არ ავი-ღებთ, იმაზე ეჭვი ცხადია! იმტელი უნდა იტანჯოს, მანამ გატყდეს და თავის ნებით გამოაჩინოს ლ..და

---

## 8.

შემდგომ სამი თჳსა, მივიდნენ კიდევ ი......თან და-ღონებულთა მოახსენეს:

ბატონო გთხოვთ გვიბრძანოთ, იქნება იცოდეთ რამე ლ....სი, ერთი ვნახო უბედურმა მამამ მერე თუნდა მო-ჰკუდე.

ი...ეს შეებრალა მამა, ამასთანავე იფიქრა: როდე-

მჲის დამალოს, უთხრა მამას: დამიმადლებთ ჩუჱნები-სთჳს? იმათ ამ სიტყუაზე დაჩქვილთა დაუწყეს ვედრე-ბა ერთი მხოლოდ აჩუჱნოსთ.

მაშ კარგი: უთხრა ი...ემ, ნახეთ ელაპარაკეთ. და-სწერა ბარათი და მისცა სვიმონას, წაიღე მიეცი მამი-და ელისაბედსა, მისცეს ნება და აჩუჱნოს ამათ ლ..და.

წაიყუანა სვიმონამ, კ....რი და ვ....ს განვლო რამ-დენიმე ქუჩა, ბოლოს შეიყუანა დიდ გალავნიან სახლე-ბშია, განატარა რამდენიმე, ოთახნი, შეიყუანა ზალიდამ პირ და პირ ლ...ას ოთახში, სადაცა ძვირფასის მები-ლით განშუჱნებულ იყო და ძირს ხალები დაგებულ, კედლებზე ეკიდნენ მეფეთა და სხუათა ძვირფასნი კარტი-ნები, ლ..და იჯდა მდივანზე დიდად მორთული, ხელში ეჭირა წიგნი ჩუმათ კითხულობდა, რა მამა და დანიშ-ნული თჳსი იხილა, შეკრთა და ფერმა გადაკრა დიდ სანს ხმა ამოუღებლივ, იმათაც მდაბლათ თავი დაუკრეს მდივანზე მჯდომს ბრწყინვალე მნათობსა, ვერ მოიფი-ქრებდნენ ის ქალი ლ..და იქნებოდა ამისთანა დიდებასა და პატივში და განცხრომაში.

შემდგომ რვა მინუტის ჩუმათ დგომისა გამობრძა-ნდა სხუა ოთახიდამ ელისაბედი რომელსა აგრეთვე და-უკრეს თავი.

უთხრა: აბა რომელია ლ...ას მამა?

მოახსენა კ.....მა: მე ვარ ბატონო, და წარსდგა წინა.

უთხრა: აი ნახე, ელაპარაკე შენს შვილსა ლ...ას.

იმათ გაოცებულია ლ....ზე მიაქციეს თუალნი და შეკ-

ყურებდნენ ჯერეთ ვერა რას გამბედველნი.

ელისაბედმა უთხრა: ლ...ას: შჳლო ი...ეს მოუწერია მამა ნახეო და შენ იცი რასაც ელაპარაკებიო, რა გავიდა ელისაბედი, წამოდგა ლ..და მოეხვია მამას და უთხრა: ვინ იცის რა რიგათ სწუხარ.

მამა მოეხვია და ცრემლ მფრქვეველმა უთხრა: შჳლო, შენთჳს არ ვიწუხო ვიღა მყავს შენის მეტი! დავანებე თავი ყველა გაოხრდა! რათ რა მინდა, სამი თვეა ვიტანჯები, შინ ველარ შევსულვარ საცოდაობით, საბრალო დედა-შენი ქუჵშაგებში მოსთქუამს დიდის გლოვითა და მგონია ველარცკი იცოცხლოს. საწყალი მ..ნა კინაღამ ჩავაქვავეთ! რომ შენ ველარ გიპოვეთ, ახლა იფიქრე სამწუხარო იქნება თუ არა!

ლ...ამ ამ გუარს მამის ლაპარაკზე ცრემლები გადმოყარა და წარმოსთქუა, საბრალო დედა ჩემო, შენ მებრალები მეტის მეტათა! შენი დაწყერულებული გული ვერ აიტანს მწუხარებასა! არ ვიცი გავათბობდა შენს გაციებულს გულსა! და იმან მოიწმინდა ცრემლნი.

შემდგომ უთხრა მამას: ჩემთჳს ნუღარ იწუხებთ მამავ, მხედავთ როგორ დიდებაში ვარ?

ღმერთო ჩემო! უთხრა მამამ, შჳილო, ვინ დაიდო ჩემი ცოდო, ვინ შევიდა შენის უბედურის დედ მამის ღალატში, ვინ შეგიცუალა დედ მამაზე ის გული რომელიც ამ ჩემს გამხმარს გულს გამინედლებდა ხოლმე, ეხლა შენს დედ მამას ტირილისა და ვაების მეტი აღარა გვაქუსრა! არც მროხები, არც სახლი, არც ვენახი

აღარც სხუა რამე ქონება სულ ფუჭია ჩუჱნთჳს უშე-ნოდ. მე შენით მქონდა იმედი, მიტირებდი, დამმარხა-ვდი! ახლა რაღა დამრჩა!

ხაკჳრველია მამავ! მაგ სიტყუჱბიდამ გამოდის მი-კრძალამ გათხოებასა ქმარსა!

მე მაგას როგორ ვიტყჳ. მიუგო მამამ, ქმარი დი-ახაც გინდა! მაგრამ, ისეთი ქმარი, რომელიც შენს მა-მის შჳლობას შეჭფერის და მე გამომადგება ჭირში და ლხინში. აი შენი ქმარი გ....ხი განა ვეღარა სცნობ? ყველამ იცის ამაზე დანიშნული ხარ და ამას ეკუთვნი.

უთხრა ლ...ამ: ჩემი საქმრო ვინც არის და ვისაც ვეკუთვნი კარგათ ვიცნობ, თუ ჩემი მამა-შჳლობა გინ-და მაგისთანა ლაპარაკზე ჴელი აიღე.

გ...ის აქამომდე ჩუმათ მდგარი, გაოცებული ხედა-ვდა ლ...ას შავს თუალებს, შავს ხშირს წარბებს, მაღ-ზე თეთრ წითელ ლოყებს, სურათს ცხვირს პატარა ტუ-ჩებს, უკან გადაყრილს თითქმის ფეხებამდის სხვილთა ნაწნავთა ოქროს ფერთა, მომარგალიტულის თასკრა-ვით და ჭრელის მოსახვევ მორთულობითა ისე აღყუა-ვებულს, რომლისა უებრო სიტურფეს საბრალო ასე გა-აგიჟებინა, თითქო ლ...ას თავზე ცეცხლი გადაეყარა, ვერ უმართავდა თუალსა, ბოლოს ასეთმა ქრუანტელმა დაურბინა ძარღუჱბში რომ, დაღვივებულის ცეცხლივით ენთებოდა და ადვილ საცნობელ იყო რო ლ...ას სიყუა-რული მოჭკრზნებოდა მოუნელებელ ცეცხლად, მერმე ძალ დატანებულმა წარსდგა და მოახსენა ძლივს ენა გა-

მოგნებულმა შიშით კრძალვით, ლ...ჯან, განა რა და-გიშავე ისეთი რო აგრე უწყალო ხართ, ჩემზე არასა ფიქრობთ. მე-კი იმედი მაქჳს და ვერცა ვინ წამართმე-ვს შენს თავსა, ჩჳენის ჩჳეულებისამებრ კანონით მე მეკუთვნი, მცაში ახჳალ ამოგყვები და ქვეშკნელში ჩაგ-ყვები.

უთხრა ლ...ამ: შენი ლაპარაკი საჭირო არ არის; მე მაგის პასუხს არ მოგცემ ამის მეტსა რომ, კარგი იქნება წახვიდე სხჳა მონასხო და ჩემი სახელი აღარ გაახსენო გაიგეთ?

ღმერთო ჩემო! უთხრა მამამ: სულ ყველაში გამო-ცვლილხარ, გაგციებია სიყჳარული და გული ჩჳენზე, ერთი ეს მითხარ ვინ გაგაორგულა! მშობლებზე და და-ნიშნულზე? ვინ მოგიტაცა? ან ვინ მოგიყჳანა აქა იმ ჩემა მკჳლელმა!

მამავ? უთხრა მშჯდად ლ...ამ, წინ დაიხედეთ სადა ხართ! რა გინდათ სთქჳათ? მე არა-ვის მოუტაცნივარ, მე თითონ მოვედი აქა და პასუხის მამცემიც მე ვარ, ნებას არ მოგცემთ აქ თქჳენებურად იყვიროთ! ქმრის შერთჳა! მოწონება ჩემი საქმეა! შენ ვერ მეტყვი, ეგ ნუ გინდა ეს ჩემი თქმული მალით შეირთეო.

მამამ თავის ქნევით შეხედა გ....ხს გაბრაზებულმა ლ....ზე და მერმე დამშვიდებით უთხრა: შჯლო მაშ რა ვქნა! არ წამოხვალ? სულთ მბრძოლს დედას არა ნა-ხამ?

დედას ვნახამ თავის დროზე, მშჯდობით მამავ. მე

გირჩევ გული დაიმშვიდო, მე ისევ შჳლი ვარ ყველა კარგათ იქნება.

კ.....მა და გენრიხმა თავის ქნევით და ბუტბუტითა განვლეს გარე გაბრაზიანებულთა წარმოსთქვეს ხედამ, გასაფუჭებელი როგორ გამოცვლილა სახითა თუ ხასიათითა, ამისთანა სიტყვებს კულავ როგორ გაბედდა; თითონ მოსულა აქა, საწყალ ბაყლებს და მ..ას რამდენი სატანჯველი მივაყენეთ.

მაშინ კ.....მა და გ.....მა სასამართლოს მეორეთ გამოუცხადეს ქალის ჰოვნა, ბაყლები გაანთავისუფლონ ტუსაღობისა და ეჭვისაგან.

ახლა ბაყლებმა საქუამ და ოჰანამ, შეიტანეს საჩივარი რომ, იმათის სიცრუის ცილის წამებითა გამოიარეს ტუსაღობა, აგრეთვე დაჰკარგეს ნდობა საზოგადოებაში, მიეცით დიდი ზარალი ამის გამო ითხოვეს გარდახდევინება მათი.

კ...ერ და გ...იხ მეისვე დაატუსაღეს და შეუდგნენ გარჩევა გადაწყვეტას, ი...ეს ეს საქმე თუმცა წინა აღმდეგად ეჩვენა მაგრამ მაშა ლ....სი და გ...იხ თავიანთის უგუნურებით ჩაცვივდნენ რა დიდს გაჭირვებაში აღიძრა შემწეობისათჳს მათისა, მაშინვე თხოვნითა ი.....თა მოსამართლე შუა შემოვიდა ბაყლებისა და ტუსაღებისა, ერთმანერთთან მშჳდობა ჰყო და საქმე მათ მიერ დაწყობილი მოსპო, ამისთჳს ნემენცნი თავიანთს განმათავისუფლებელს ი......თან მოსდრკნენ მადლობა მოახსენეს, მერმე გაკჳრვებულნი ანბობდნენ: რა ხათაბა-

ლას მოგუ̂არჩინა! ღმერთო ჩემო! რა კაცი ყოფილა! ჭირიდამ თითქო რძესა და კარაქს აწვიმებსო.

---

## 9.

კ....რი გაკჳრვებული ანბობდა: ეს დიდი კაცი ლ...ას რა რიგათ გაუგიჟებიია სიყუ̂არულითაო! მაგრამ ყოვე-ლივე ჩემთჳს უსარგებლო იქნება! მე არ გამამადგება ჭირში თუ ლხინში, ამას თავ მოხდილი უნდა ვადგე! ბარინ? ვემახო. თავისთან არ დამსომს ჯურს არ მაჭმე-ვს; ერთი სიტყჳთ ჩემსა და ამაში დიდი სამძღუ̂არია! ამასთან პატარა ჭია ვარ! მაგრამ გ...იხი კარგი რამ არის, ჩემთჳს თავს დასდებს, ყოველს დროს ჩემთან იქ-ნება, ლხინი უყუ̂არს და მეც არ მამაწყენს, თავის ფუ-ლის ქისას მე მაბარებს, ეხლაცა მაქუ̂ს იმისი ასი მა-ნათი დასახარჯავად, ერთი სიტყუვით ამისთანა სხუ̂ა არა ვინ იქნება ჩემთჳს.

გ...იხ ლ...ას სიყუ̂არულით ასე გაგიჟებული იყო; არ იცოდა რას შვრებოდა, მერმე მოილაპარაკა კ.....თან და გადასწყვიტეს რომ ერთიცა ვნახოთ ლ..და ჩავაგო-ნოთ თუ არ შეისმინოს მაშინ სხუ̂ჱბრ ვისმაროთ ღონის ძიება. კ.....მა და გ.....მა ხუთი დღე იმეცადინეს მაგრამ ელისაბედმა და ლ...ამ არ მიიღეს, მეექუ̂სე დღეს მივი-და მამა სთხოვა ი...ეს რათა ნება მისცეს ქალის ჩუ̂ჱ-ნებისა.

ი...ემ მაშინვე გაატანა სვიმონა და შეუთვალა ლ...ას ინახვინოს მამა, სვიმონამ წაიყვანა რა მამა, გ...ხი გზიდამ გაედევნა, როდესაც მამა შეიყვანეს გ.....იც თან შეჰყვა და წარსდგნენ ლ...ას წინა, ლ...ამ ანგელოზივით გადმოხედა რა მამასა, ჰკითხა დედის ამბავი.

მიუგო მამამ: დედაშენი ქუჩშაგებში სტირის მლი-ვ'ლა სუნთქავს, ამბობს ლ...ას უნახავს საფლავში ნუ ჩამიყვანთო, რა არის შეიბრალე დედა! იმან გაგზარდა! საცოდავს შენი ნახვა სიცოცხლეს მოუბრუნებს, ერთს საათს ერთს მინუტს ნახე?

უთხრა ლ...ამ: მ..ამ მითხრა, დედა ძრიელ ავათ არის, როგორც თქუენ ამბობთ, იმას არა უშავსრა კარგათ იქნება მეც ვნახამ კულავა ესლა ვერა.

მეორეთ მოსვლას! უთხრა მამამ გაბრაზებულმა, ღმერთო ჩემო! მაშ მე ტყუილს ვამბობ, მე სწორეთ ვამბობ, უნდა გამოხვიდე ისიცა ნახო და კიდეც ვილაპარაკოთ შენს გათხოვებაზედ, აი საქმრო შენი მოვიდა ქორწილის პირობაზე.

გაოცებულმა ლ...ამ უთხრა: აგი გითხარით მაგაზე ნუღარას იტყვ; მე ქმარი მყავს მეთქი! ეგ უვალი ეს ორჯელ დატყუებით შემოგიყვანია! ამათ არ იციან თორემ კარებთანაც არ მოგაკარებენ! ამას იქით შენც ალარავინ შემოგიშვებს, წაბძანდით.

მაშინ წარსდგა გ...ის და სიყვარულით აღგზნებულმა მოახსენა: ლ..და მოიგონე რომ მე ვარ შენი მეუღლე! ჩუენის ჩვეულებისამებრ დაწინდული! ეს საქმე

ყველამ იცის, არცა ვარ დასაწუნი, კაცი ვარ სწორეთ კაცის შვილი! თავი მაქონს სწორ-ამხანაგობაში და საზოგადოებაში! ყვედრებას ვერ აიტან როგორც საწაალავსა! მაქჳს ქონებაცა აი ეხლაც ფოდრათში სამი ათასი მანათი მოვიგე, აი ასიგნაცი სულ შენთჳს მიხაროდა და მინდოდა, უნდა იცოდე ასე უწყალოდ მიყვარხარ! უშენოდ ერთს დღეს ვერ ვიცოცხლებ, გევედრები გამოდი აი ვიჩოქებ შენ წინა!

მამამაც დაიჩოქა და დაიძახა: მშობლების სიყვარულისათჳს და იმათის ხათრისათჳს გაუგონე ამას! გებრალებოდეს გ....ხი ცოდოა! ხედამ? ტირილი მოსდის.

ლ...ამ ანიშნა ამდგარიყვნენ მაგრამ არ ადგნენ, კარგი გეყოფათ! უთხრა გ.....სა, ყველაში სტყუი! მაშინვე არ მინდოდი, ვიძახდი არ მინდა! არა არა და არა! ძალით დანიშვნა და სიყვარული არ იქნება! რაოდენიც შენ გიყვარვარ მე უმეტეს მძულხარ! მომეტებით ეხლა როდესაც თავისუფალი აღარა ვარ! ახლა სწორეთ ქმარი მეამს.

მიუგო გ.....მა ლ..და მოდი გონსა! ნუ მიჰყოლიხარ რაღასაც ჟინსა! აბა რას მემართლები? რათა მკლამ რათა მწუნობ? მე ხომ თავს ვეღარ ვიცოცხლებ რომ შენ ჴელი აიღო. მე ვარ შენი ქმარი სხვა არა ვინა! აბა რა პასუხს მამლევ წინაშე დედ მამისა და საზოგადოებისა? თუნდ მღვთისა? ნუ მტანჯამ, დაჩოქვილნი კიდევ გთხოვთ გევედრებით გამოდით აქედამ.

ლ..დამ მოთმინებითგან გამოსულმა, აქეთ იქით გა-

დასვლა ნახა მოსამსახურენი გაოცებულნი იცინოდნენ, ნემეცურის უცოდნელობისა გამო არ იცოდნენ თუ რათ შჰრებოდნენ, გულ მოსულმა დაუძახა: ადექით მეთქი! გამეცალეთ! წადით გეყოფათ!

ადგნენ რა უთხრა გ.....მა: მაშ ეგ არის თქჳჱნი პასუხი უარის თქმა?

უთხრა ლ...ამ: ჯო! ჯო! და ჯოო!! წადით, წადით.

გაბრაზებულმა გ.....მა კარგი მაშა! ვნახოთ ვინ და-ეცემა, მე თუ შენა? კარგათ იფიქრეთ თუ თქჳჱნ უარის თქმით მამკლამთ მეც ვეცდები თქჳჱნს სიკჳდილსა! თქჳჱნი ბედნიერება და უბედურება ჩემს ჴელშია! მე და-ვამსხვრევ თქჳჱნს ბედნიერებას, აღარავისას შევიშინებ თუ-ნდ წინ ვეშაპებიც დამხვდნენ გავქელავ, იმ თქჳჱნ სა-ქმროსთან სიყუარულისა! მოვიმულოს და გავაგდოს ქუჩა-ქუჩა სათრეველად. რათ გავიწყდება! იყო დრო თუნიერ ყოვლის წინააღმდეგობისა მემორჩილებოდი მე და ესლა კი ვითამ ვერცკი მიცნობ? აქედამ გავალ თუ არა ვემ-ცერები საზოგადოებას და მართებლობას, ვაცნობებ რომ, ძალადობით მართმევენ იმ საცოლეს რომელიც მეკუთ-ვნის, და რომელთანაც თანა შეერთებული ვიყავ.

ამ სიტყჳჱბისაგან ძალზე შეწუხებული მიუბრუნდა მამას, ეს სულ თქჳჱნი წყალობაა! ბატონო მამავ?

მიუგო მამამ: რადგან ჩემს თხოვნას პატივს არა სცემ რა ვქნა! მართალს ანბობს, მეც თანახმა ვარ აგრე იყო.

ამისთანა ლაპარაკმა ქალი გამოიყვანა მოთმინე-

ბისაგან, დაასხა მწუხარების ოფლმა, და თითქმის ვე-ღარა გაიგორა რას შერებოდა ბოლოს დაუძახა და ოთ-ხთა მოსამსახურეთა შეჰკრეს ორნივე; ლ...ამ პირ მი-ბრუნებულმა ამოიოხრა მწარედ მოიწმინდა ოფლი და თჳალთაგან გარდმოცვინულნი ცრემლნი, მერმე გარ-დმოხედა დამშვიდებულის სახით შეკრულს მამას შებრა-ლებით უბრძანა რათა ისევ გახსნან მსახურთა გახსნეს რა უთხრა, განა შენც ამ სიბერის დროს დაგიდვია სი-ცრუეზედ თავი? ისეთი რა მოგცა მაგან რომ სული-საგან ჴელი აგაღებინა! აბა რას ანბობ მაგას როგორ აჰყოლიხარ? არ გეშინია სულისა?

მიუგო მამამ: შენ კი არ გეშინიან? მშობელნი და დანიშნული გახადე შენი გზის მტირალნი და რომელ-საც ეკუთვნი უარს უშვრები?

უთხრა გამწარებულმა ლ...ამ: რის დანიშნული? რას ანბობთ? არა რას ემახი კუთვნილებასა! მე როდისა მკი-თხე თანხმობა? შენს თავად რაღაც ნიშანი გამოგირთ-მევია აიღე უკან მიე და გათავდეს. სხჳებრ ჩემთან რა საქმე აქჳს! ესეც იცოდეთ მაგ ცრუ შედგენილობით კიდეც რო მამიმულოს ჩემა საქმრომ, მაინც ჩემს პირს ვეღარა ნახამთ, საკმაოა მშჳდობით.

გ.....მა ერთი კიდევ მომისმინეთ, მე არავისი მეში-ნიან, მზათა ვარ გამოვაცხადო, თქჳენი ურიგო ქცევა გამოიქეც ავის ქცევისათჳს.

ამ სიტყჳაზედ ლ..და გაშფოთდა და დაიძახა: გან-მშორდით მეთქი? ამავე დროს მეორე ოთახიდამ გამო-

სულმა ი....ემ იხილა ლ..და ფერ შეცვლილი და ცრემლ მორეული, ჰკითხა: რა ამბავია ეს მეორე ვინ არის?

იმათ შეშინებულთა მდაბლათ თაყუ̂ანი სცეს და მოახსენა მამამ: დედის უნახაობისთჳს ვაწყეინე.

დაუყვირა ი...ემ: სტყუი! მითხარ ჩქარა! ეს მეორე ვინ არის მეთქი? შენ მარტოს მოგე ნება ნახვისა!

მოახსენა მამამ შეშინებულმა: ბატონო? ეს გახლავსთ ლ..დას დანიშნული, ჩემი მეზობლის შვილია! კარგი ყმაწვილი კაცი!

მაშინ განრისხებულმა ი...ემ: ჰო! კიდეც ამისთჳს ეუბნებოდი ლ..დას ავ საქციელობას? როგორ გაბედეთ ბებერო ქოფაკო, ამ ოჯახში უშუ̂ერი ლაპარაკი? გაანჩხლებულმა დაიძახა: ეი! ბიჭებო? პანდური? ამათ პანდური? გარეკეთ? და აღარ შემოუშვათ? მოსამსახურებმა მსწრაფლ გალავნის გარეთ კარებამდის პანდურით გააცილეს მაგრამ, ი..ნე საშინელის სიანჩხლისაგან არ დასცხრა, მიუბრუნდა ლ..დას: მადლობელი ვარ, რომ შენგან ასე მოტყუებული ვყოფილვარ, დანიშნულიცა ყოლია! მე კი წმინდა სული და გული გაგიშალე ქუ̂ე ფიანდაზად, მინდოდა ამ ცოტას ხანში დამეგვირგვინებინე უმეტესის დიდებითა! მაგრამ ეხლა ვხედამ რომ, თქუ̂ენ როგორც მაცდური შეჰპარვიხარ ჩემს გულსა! მოგიწამლამს ჩემი ბედნიერება, სჩანს ჩემთან არც წმინდა სინიდისი არც პატიოსნება არ მოგიტანია!

ამ ყვირილზე შემოვიდა ელისაბედი, ჰკითხა გაოცებულმა, გვენაცუ̂ალოს მამიდა ნუ გაშფოთდები მითხარ რა ამბავია!

ლ..დას სდიოდა მწუხარების ოფლი, გულ ამამჯდარი ღვრიდა ცრემლსა, ბოლოს გამწარებულმა დაიჩოქა ი...ეს წის ორივ კელებ შეტყუპილმა უთხრა: ცრუ შედგენილობაა! შემიბრალეთ ნუ გჯერათ?

აღექით? უთხრა ი...ემ, თქჳენი ცრემლნი მისაღებნი აღარ არიან, ვეღარავინ დამაჯერებს, იმ თქჳენს დანიშნულს ნემენცთან თანა შეერთებული არ ყოფილიყო? მე ამ საძაგელს მიმოთქმას რომელიც სახალხოთ მოიფინება ჩემს საკიცხავად როგორც საწამლავს ვერ გაუძლებ.

ელისაბედმა ამ სიტყჳეზე შემოიკრა თავსა და დაიძახა: ვაი ყურებო! თჳალებო დადექით! ვაი შერცხვენილსა! ვაი ქჳეყანაში გამოჩენილსა! ეს რაღა გავიგონე, დაახლოებული დანიშნთლიცა! გვნაცჳალეთ ესღა გჳაკლდა! თავათ ყველას უკვირდათ ეს ჩჳენი საქმე, ახლა ესეც გაიგონონ რაღა გვეშველება? ი..ნე მჯლოა? წავიდეთ დავიბაროთ ვასილ ივანიჩი ამ საქმეზე მოვილაპარაკოთ, ი...ემ გადახედა ლ..დას თითქმის სატირლად მომზადებულმა, ამოიოხრა მწარედ, ჩაფიქრებულმა მხრები აიწია და გაჰყჳა მამიდას.

---

## 10.

სამი დღის ერთმანეთის უნახაობით როგორც ი...ემ ეგრეთვე და უმეტეს ლ..დამ გამოიარეს თითქმის ერთი

საუკუნის სატანჯჳჱლი, ლ..დამ არც ჭამა არცა სჳა, ბოლოს ამოიკვნესა საბრალოდ და ამოიძახა გულის სიღრმისაგან, ჰოი ბოროტნო კაცნო? მტერნო სიმართლისანო? რომელთა გსურთ ცრუ ცილის წამებითა დამიხშოთ გზა ბედნიერებისა! ჵი! მამა ჩემო? ეშმაკისგან მოცდუნებულო? გეშინოდეს მართლ-მსაჯულებისა, როგორც მეშურნესა და შჯულის მკჳლელსა! რა ვქნა! ყოვლით უღონო უნათესაო, შეუწევნელმა, ვის გავჳნდო? ვის უთხრა ჩემი სიმართლე, ვინ შემიწყნარებს? ადგებოდა და დაჯდებოდა გამწარებული, ამასთანავე სცნა ი...ემ და ელისაბედმა შესცჳალეს ადრინდელი სიყჳარული და პატივის ცემა, იმან მწარედ ამოიოხრა და მოიფიქრა როგორმე თავის თავი გაამართლოს.

ი....მაც დაჭლექებულმა ლ..დას უნახაობით გამოიარა სატანჯჳჱლი და მესამეს დღეს უცებ გაეღო კარი შევიდნენ ი..ნე და უჩიტელი ვასილ ივანიჩი, უთხრა ი...ემ: აი ქაღალდი? რომლითა მოსამართლე მიმიწოდს საპასუხოთ. ვითამ მე მოვტაცე მამას ქალი და განჰაშორე საყჳარელს დანიშნულს მეუღლესა! თქჳჱნ დარწმუნებული ხართ რა რიგის ტრფიალებით მიყჳარდით, და მოუთმენლად ვსწრაფობდი სჯულიერს ქორწინებასა! მაგრამ ახლა კი არ ვიცი როგორ გამოვსთქჳა ჩემი გულის კჳნესა! არ ვიცი ავიტან ესრეთს შეურაცხებასა! ააჰ, ღმერთო ჩემო! რას იტყჳან? დაავდო სტოლზე ქაღალდი და გავარდა მამიდასთან გაშფოთებული.

უჩიტელი იდგა უმრავად ხმა გაკმენდილი, ლ..და მძრწოლარე ცრემლის ნაკადელში ძლივსღა სუნთქავდა, კუალად ამოიკუნესა რა, უთხრა: ბატონო ვასილ ივანიჩ! შემიბრალეთ უსამართლოდ ტანჯული, ნება მამეცით გამოვსთქუა თქუჱნთან მანიცა საიდუმლოება და სიმართლისამებრ ჩემისა; გთხოვთ მიბძანოთ რა ვქნა!
მიუგო ვასილ ივანიჩმა: თუ კი შემიძლიან მზა ვარ თქუჱნის პატივის-ცემისათჳს, მიბრძანეთ რა გნებავთ?

უთხრა ლ..დამ: დაბძანდით გიანბობთ, ბატონო: მამა ჩემა და იმ ნემენცმა გ.....მა, მაგ ღონის მიებას მიატანეს იმისთჳს რომ, ი...ეს გული გამოეცუალოს ჩემზე ჴელი აიღოს და ჩაუარდე ისევ იმათსავე ჴელში, გაიგეთ თუ არა? ეს ადვილი მისახვედრია!

მიუგო ვასილმა: ვსთქუათ ეგ აგრეა! მაგრამ ხალხში სხუჱბრ გააქუსთ და გამოაქუსთ ანბები რა დააჯერებთ იმათა! ი...ეს გულში დანერგული თქუჱნი უზომო სიყუარული მოსწამლა მამა შენმა და იმ ვიღაც დანიშნულმა! აბა რა ქნას? იგიცა კეთილ შობილი მოთაკილეა! მოგონებაზე თავ ზარი ეცემა! ცეცხლივით ენთება! დაიჯერეთ გუჱრდიდამ ვერა ვშორდები მეშინიან ჭკუიდამ არ შესცდეს ან არა აიტეხოსრა, ერთი სიტყჳთ მაგისი სიბრალულით ვიწვი.

ამ სიტყუაზე ლ..დამ გამწარებულმა დაიკივლა გენაცუალეთ რას მეუბნებით? ი..ნე მაგისთანა განსაცდელშია? მღუთის გულისათჳს ნუგეში ეცით, მე თუნდა აღარ ვიყო და მე მიმიშვით იმათის პასუხისთჳს, მალე

გავამტყუნებ სახალხოთა, მით შევიქმნებით მე დ ი..ნე უბიწონი.

მიუგო ვასილ ივანიჩმა, აბა როგორ? ხომ გესმით რასაც ლაპარაკობენ.

უთხრა ლ..დამ: ბატონო ვასილ ივანიჩ! ირგვლივ განწირული მდგომარეობა ჩემი იძულებულ მყოფს გამოვსთქჳა წრფელის გულით რომ მე ჯერეთ მამაკაცი არ ვიცოდე, დაიჯერებთ ი..ეს კეთილ შობილურის ქცევისაგან ჯუარის წერამდინ პატიოსნება დაცულია! მაშასადამე ჩემის სიმართლითა დ უბიწოებითა დაუყოფ პირთა ყოველთავე ცრუთა. დ თან დაღონებულმა დაიღო თავი ძირს.

ამაზედ ვასილმა სიხარულით აღტაცებულმა გამოართუა ჴელი აღშფოთებულს ლ..დას დ უთხრა: ღვთის გულისათჳს დამშჳდდით! აი რა გითხრათ? მე დარწმუნებული ვარ, თქუჱნა ხართ წმინდა უმანკობა დ თქუჱნი სვინიდისი არის უბიწო. ამისჳს მე გაძლევთ ჴელსა დ სიტყუასა თქუჱნი მწუხარება განვჰკურნო, მე თითონ ვიქნები წინამძღუარი თქ-ჱნი სადაცა საჭიროა! ჭუჭყი რომელიც ი....სა დ თქუჱნ მოგცხებიათ უნდა გასპეტაკდეს დ სიცრუე მოისპოს. გახსოვდეს იმისთანა უმართლო მამისათჳს შემწეობა აღარ ითხოვოთ! დაე დაისაჯოს!

უთხრა ლ..დამ: განა მამა ჩემი დაისჯება? ეგ ხომ ჩემგან საშინელებაა?

ღმერთო ჩემო! წამოიძახა ვასილმა, რა კეთილი

და მაღალი სულია! მერმე ლ..დას უთხრა: ვერა ხედამ? მამა შენი რას გიშჳრება? მზათ არის დაგლუპოსთ თქჳენ.

კარგი კარგი, ბატონო ნუღარ ვიგვიანებთ გთხოვთ შეუდგეთ საქმესა.

უჩიტელმა დახედა საათსა, და სთქჳა ათი საათია სრული, მოემზადეთ მანამ მე ი....სა ვნახამ. ლ...დას გული კიდეც გაიპობოდა მწუხარებიითა თუ არ მიესწრო ი...ესა, იგი იცჳამდა ტანსა ოხვრა კჳნესითა, ამ დროს თითქო ვასილ ივანიჩსა რაიმე თილისმა ეხმაროს ი...ე და ელისაბედი იმ სახით შემოიყჳანა ორნივენი ხმიანის სიცილითა და უთხრა ი...ემ: საყჳარელო ლ..და, თუმცა მეშურნე მტერს სურდა დაეთესა ღჳარძლი, მოეწამლა შენი და ჩემი სიყჳარული, მაგრამ ჩემის შებრძოლვით ვსძლიე მათ და ეს გული სავსე სიყჳარულითა იქმნა გამოუცვლელ, დავშთი, ისევ ისრე როგორც ვიყავ, მე შენი ვარ მარადის ვინც რაც უნდათ სთქჳან, და თან მოეხვია დიდის სურვილითა, მგონია მამა თქჳენს არ აპატიებთ თავის ცუდის ქცევით ჩჳენს ასე გამწარებასა! თქჳენ წახჳალთ პირ და პირ პოლიციის უმფროსის მოსამართლისა, უფალო ვასილ ივანიჩ! გთხოვთ გაისარჯოთ ამათთან და მოიქცეთ ისე როგორც გეკუთვნისთ. ბიჭო? ეკიპაჟი შეაბი, თან გაჰყჳეს ნიკალა ლაქია.

ლ..და კჳნესით არღა ოხრამდა, ახლა კი აღსდგა მხიარულად თითქო დაბმულობისაგან აშჳებული ლომი განმზადებული ბრძოლისათჳს, კელთ ეპყრა იარაღათ ცეცხლებრ შემწველი სიტურფე და ბრწყინვალე მორთუ-

ღობა, ლომი ბრჭყალებითა გმირი იარაღითა და მნა-
თობი ესე თჳსის მზეებრ შემწუწლობითა, რომელი ერ-
თისა ოდენ შეხედვითა შეათრთოლებდა გულსა კაცისა-
სა და ტუჭდ თჳსდა ჰყოვდა.

ი...ემ თჳალ დაკჳრვებულმა და სიყუარულით გახელე-
ბულმა, კელ-კიდებით გამოიყუანა ჩასჳა და ეკიპაჟი გაქანე-
ბული დადგა პირ და პირ პოლიციის მოსამართლისა.

გამოვიდა რა ეკიპაჟიდამ მოატყდნენ მაყურებელნი
გაკჳრვებულნი ერთი მეორესა ჰკითხავდნენ ნეტარ ვინ
არის ეს უებრო მშჳენებაო? როდესაც სცნეს ამ ქალის
ვინაობა უფრო გაჰკვირდნენ კეკლუცობასა მისსა და სუ-
რდათცა შეეტყოთ როგორ დაბოლოვდებოდა იმათი საქმე.

ვასილ ივანიჩი ცდილობდა კარქი კავალერობა გა-
ეწია, აქედამ და ხან იქიდამ მოურბენდა რა რომ მეტი
ღონე არ იყო მისცა ქალმა მკლავი და პოდრუჩკით ავ-
ლეს კიბე, იმათ მისდევდათ კარგათ მორთული ლაქიი.

ავიდნენ თუ არა კიბეზე, მოსამართლეცა მუნვე და-
ხუდა თითქო წინ მიგებებული. . . . . . . . . . . .
მოსამართლემ ადმირულმა ამის პატივის-ცემისათჳს და-
უდგა კრესლა, და შეუდგა ამათ გასამართლებასა. . . .

## 11.

წარმოადგინეს პირველად მამა ლ....სი რომელსა
მიეცა დრო ლაპარაკისა, თუმცა მრავალი გასამტყუნებე-
ლი ელაპარაკა ვასილ ივანიჩმა, მაგრამ კ....რი თავის

აზრზედ შეუცვლელად იდგა. ბოლოს უთხრა ლ..დას წინა-აღმდეგ ჩჳეულებისა და დედ-მამისა! გამოექეც დანიშნუ-ლსა, მისულხარ იქა სადაც არ გეკუთვნის.

უთხრა ვასილმა გაწრისხებულმა, ბოროტო სულო? ჩჳეულება პატიოსანია, მაგრამ შენ მამა კი არა ხარ? შჳლის დამღუპველი ხარ.

მიუგო მამამ მომიტევეთ ეგენი არც ერთი არა ვარ მე ისა ვარ, რა ხანია როგორც მამამ მივათხოვე ქალი საქრმოსა!

ლ..და მიუბრუნდა მოსამართლეს, შემიბრალეთ ღმრთის გულისათჳს! რაებს ანბობს? . . . . . . . . აღარ იცის რას შვრება, ამათ უნდოდათ ჩემს უკითხველად ვინც უნდა ყოფილიყო მიეთხოვებინე და კიდეც სრულ ჭკუო, გაუთხოვებივარ ვიღაც ცრუზე და რომ ვერ მოუხერხებია ჩემს უთანხმოდ, ისა სტანჯავს სხჳა არაფერი, რის და-ნიშნული? ან როდისა მკითხა თანხმობა? მოწყალებით მაღალმა განგებამ მიმაგდო დიდებულს და სამაგალითოს საქრმოსთან, რომელმა გამომიყჳანა საბრალოს მდგო-მარეობიდგანა, არ მიხედა ჩემს ვინაობას, უმზითვოს, ტი-ტველს. შემმოსა მდიდარითა სამკაულითა და დამსჳა სი-მდიდრესა და დიდებაშია! აგრეთვე დამიდგინა მასწავლე-ბელნი მწვრთვნელნი, მამზადებდა უმეტესის დიდებისა-თჳს, ესრეთს ჩემს მოულოდნელს დიდებაზე მამა ჩემს ჯაფა და ხარჯი არა მოსვლიარა სიხარულის მაგიერ, თავის ნათქჳამობით აღძრული მზათ არის მომისპოს ეს ზეცარდმო მოვლენილი ნუგეში, მოჭუავს ვიღაცა .....

ვითამ იმაზე დამნიშნა დ სხჳა, როგორ გამოვსთქჳა ამისი მოგონილი სიტყვები, ახლა იფიქრეთ უფალო მოსამართლევ. ამისი გამგონებელი ი...ეს მაღალი სული რა სახით შესწუხდებოდა!

მოსამართლემ შეხედა კ...ერს, აახ! შე შემცდარო მამავ, თავ დადებულის შემწეობის მაგიერ შჳლის ბედნიერებას ეღობები დ უხლათამ გზებსა? ამისთჳს დამნაშავე დ შემცდარი ხარ. ის კაცი მტყუანია ვინც მალით მიათხოვებს თავის ქალსა იმისთანა საქმროსა რომელიც ქალს არ უნდა დ კიდეცა სძულს. მერე ამისთანა ქალსა! თავის თავათ ბუნებისაგან შემკობილსა, რომელსა თავის ბრწყინვალე ღირსება წინა უძღვის. შენ რაოდენსაც სცდილხარ ამის დამდაბლებასა, ეგოდენ დ უმეტეს თავის თავად ამაღლებულა, მაგრამ... დ თან დაიწყო წერა.

მამამ ამის მხილჳწლმა შექნა რყევა დ წაილუღლუღა, აი მოსამართლემ გაჯავრებულმა წერა დაიწყო, ვაიმე, ახლაკი დავიღუპე. დაიწყო ყოყმობით ძლივს გამოიგნო სიტყჳა, ბარინ! ბარინ!

მოსამართლემ აიღო თავი, რა გინდა?

მოახსენა კ.....მა, ეხლა ვხედამ ჩემს შეცდომას, ჰატიობას ვითხოვ.

უბრძანა ცივათ მოსამართლემ, მოიცადე დადექ. დ დაიწყო ისევ წერა.

ქალის მამამ უმეტეს წინ წაიწია, მე შემაცდინეს! მოტყუებით მაჩივლეს, მათქმევინეს ჩემ ქალზე ტყუილები მაჰატიეთ.

მოსამართლემ მიხედა ქალს.

ლ..დამ შვილობრივის გულ-ჩვილობით აღძრულმან წამოიძახა ჩუმათ: საბრალო დედა-ჩემო! მერმე ცრემლიანი თუალები მოიწმინდა რა, მოუბრუნდა მოსამართლეს, გთხოვთ ამას ნურას აკადრებთ.

მოსამართლემ თქუენი ნებაა მოუბრუნდა მას და უთხრა, აქეთ დადექით.

ამა მამამ დაიწყო გაჯავრებულმა მუქარაობით ბუტბუტი, მე იმას ვაჩუენებ ვინც ამისთანა უშუელებელ ცეცხლში მაგდებდა.

შემდგომ შემოიყუანეს დანიშნული, იმანაც თუმცა დაიწყო მაგრა ლაპარაკი და უნდოდა წინანდელი ნათქუამები გაევრცელებინა მაგრამ, მოკლე ადვილ საცნობელი სიმტყუვნე ცხად ჰყოფდა სიცრუესა მისსა. მით უმეტეს დაეცა თავ ზარი რომ, დიდის შემწეობის მაგიერ, წინა აღმდეგ მამა ლ....სი ძლიერად შეებრძოლა და გაამტყუნა საჩქაროთ, ამისთჳს ერთობ დაედო ბრალი, და მოსამართლემ განუჩინა ტუსაღობა.

შემდეგ იმის ჰატიმრად წაყუანისა, ლ..და და ვასილ ივანიჩი გამოვიდნენ კარზე, სადაცა ელოდათ ეკიპაჟი; ამის მნახველთა ხალხთა შექმნეს მხიარულება და მოეწონათ ამისთანა სამართალი. ლეიდა და ვასილ ეკიპაჟით მსწრაფლ მიჰფრინდნენ ზემო ხსენებულს სახლში, შევლეს რა ეზო, ვაზიანი ხეივანი, მოეგებნენ მათ ი..ნე და ელისაბედ.

ი...ემ საჩქაროთ ჰკითხა, რა ჰქენით? და თან გადმოიყუანა ეკიპაჟიდამ.

მიუგო ლ..დამ საქმე გათავდა მშვიდობიანათ,

უთხრა ი...ემ: კარგათ გინებებიათ, და თან მოესვია: მითხარით როგორ და რით გათავდა?

უთხრა ვასილ ივანიჩმა: გ....ხი დაისაჯა, ეს ხალხთაც მოეწონათ, ამითი ყოველივე გაიწმინდა დაშთით უმანკო თქჳჱნ და ლ..და.

უთხრა ლეიდამ: თქჳჱნ ჰფიქრობდით, ჰგონებდით რომ.... გააწყვეტინა ი...ემ, გამაჯავრეს, გამაშფოთეს. ახლა დავრწმუნდი რომ, თქჳჱნი სვინიდისი არის წმინდა, ამას იქით სჯობს აღარ მოვიგონოთ რაც იყო იყო, ახლა ყჳჱლა კარგათ იქნება. შევიდნენ დამზადებულს სტოლზე და გაატარეს სადილზე დრო დიდითა მხიარულებითა.

ლ..დამ ცხრა თვის განმავლობაში მკვირცხლის გონებითა თჳსითა, ისწავლა რუსული, ქართული, ნემეცური, წერა, კითხჳა, ლაპარაკი, კონიერული სახლოსნობა, მას ჰქონდა სასიამოვნო ხმა, მარჯჳჱ ლაპარაკი, იყო მშჳდი, წყნარი, შორის მხედველი რამდენიც წლოვანებაში შედიოდა იმდენი თან და თან ემლეოდა ფეროვნება, სხეულით იმსებოდა და ემგზავსებოდა მშჳჱნებით მზესა.

ი...ემ ვერღა ითმინა ცალკე ცხოვრება და გადავიდა თქმის სამძღჳარს იქით სიყჳარულისა და გრძნობისა გამო. მერმე გამოიყჳანა ლ..და საზოგადოებაში და წარუდგინა ნათესავთა და მეგობართა, თჳსითა უმაწვილურის ბრწყინვალე მორთულებითა და მშჳჱნიერებითა,

რომლითა გააკვირვა ყოველნივე სიტურფითა და ყოვე-ლთავე დამჩაგვრელის კეკლუცობითა, ამასთანავე დიდე-ბულის ქორწილითა სრულ ჰყო, მიერითგან ლ..და შეიქმნა განთქმული და საყუარელი ყოველთაგან.

ამ საყუარელს ლ..დას აქამომდე გამოცილებულს გამოვესალმები და მივალ იმ ალაგსა, სადაცა დავასწყენე მოთხრობა ქუკიისა.

---

## 12.

ქუკია სახლებითა და მცხოვრებლებითა განმრავლ-დნენ, მტკვრის გაღმა გამოღმა თბილისი, შუაში ხი-დის უქონლობისა გამო უვლიდნენ ავლაბრის ხიდიდ-გან, მერმე 1842-სა წელსა მართებლობამ დააწესა ქუ-კიას მტკუარზე ფიცრის ხიდი, ასე რომ წყლის დამ-ცირების დროს მაისის გასულს გააკეთებდნენ და მარტის გასულს აიღებდნენ, აპრილისა და მაისის თვის წყლის დიდობისა გამო ხან უეცრივ მოსწმენდდა მტკუარი თა-ვის აღელვებით ამ ფიცრის ხიდსა და ყოველსავე წყლის პირზე კაცის მოქმედებასა.

შევიწროებულ თფილისსა, აღმოსავლეთით მტკუა-რი, და სხუა მხრით წამოწოლილნი მთები და კლდენი არ უშუებდნენ წაწევ-წამოწევასა და იყო თფილისი მცხოვრებლებითა შევიწროებულ თითქო დაგუბებულნი, უნდოდა უთუოთ გაწევ გამოწევა ნაპირებში, იხილვებოდა მხოლოდ ერთ მხარეს გასაწევი რომელ არს მტკურის გამოღმა ქუკია იმერ და ამიერ ალაგებით.

ამისთჳს 1846-სა წელსა უგანათლებულესმა ნამეს-ტნიკმა ვარანცოვმა გააკეთებინა, შუა-გული ქალაქიდამ გასავალ გამოსავალი კუკიას მტკუარზე დიდ მშუენიერი ხიდი.

1851-სა წელსა ამა ხიდმა დასრულებულმა მოუ-მატა თფილისს უდიდესი მშუენება ასე რომ, კუკია, ჩუ-ღურეთი და დაცემული დიდ-უბის ვაკე მინდორნი შე-იქმნა მალე სავსე თავისის დიდ მშუენიერის, არხიტე-კტორულის ძვირფასის შენობაებითა და ქუჩა ბაღებითა.

ხიდის აშენება ხსენებულის ალექსანდროვსკისა და კუკიის მცხოვრებლების ნემენცთ და ერთობ სხუა მცხოვ-რებთათჳს შეიქმნა დიდ სარგებლიანად, რა ამა ხიდისა გამო დაუახლოვდნენ თფილისსა ადვილათ ასაღებდნენ ყოველსავე სახმარსა, მრავალ გუარს ბოსტნეულსა, უც-ხოსა და ჩუენის ქუეყნიდგან გაჩენილსა ხილსა, ყურ-ძენს, ღვინოს, რძეს, კარაქს და სხუა და სხუასა.

ზემოთაც ვახსენე რომ, სასლოსნობაში ამა ნემენ-ცთა ზოგიერთი აქაური ჩუეულებითი მუშაობა, და სა-მუშაო იარაღი, თითქმის სულ შესცუალეს, აიღეს სხუა მარჯვე ბასრი იარაღი, ბოსტნისა, ვაზისა, ხეხილისა-თჳს თივისა გუთნისა და ფურგუნისათჳს კარგათ ცხენე-ბით გამოწყობილი მარჯვე, მარდი და საქმის ბარაქია-ნად მამუშანი, კაცნი კონიერებით მხნენი და დედაკაცნი უმეტეს დღე ღამეზე წამრთუელნი.

გაიკეთეს მშუენიერნი არხიტექტორულნი ატაჟიან-ნი სახლნი, ზედ ბაღებითა რჩეულის ვაზითა, ხეხილითა

შემკობილნი მსგავსნი ედემისა, მიწა, გასუქებული მდი-დრად ყოვლისავე თესლის ბარაქიანად მამყჳანი, უვლი-ან, უალერსებენ და შეჭყურებენ ყოველს ვაზსა და ხე-ხი-ლის ხესა. უკეთუ შეამჩნევენ ანგარიშით არ მოაქჳს თა-ვის წლიური სამსებით სუქანი მოსავალი, მყისვე ძი-რიანად ამოფხვრიან და მის ალაგს უკეთესს სხჳას და-ჭბადებენ და ცარიელს ალაგს არ დააგდებენ არას დროს უქმად.

დასამტკიცებელად ამა ყოვლისავე მოხსენებულისა იხილვება, განშჳენებულ განმდიდრებული მდგომარეობა კალონისტებთა საქართველოში სადაც კი ისინი დასა-ხლებულ არიან, კუკიას, ალექსანდროვსკის, სართიჭა-ლას, ასურეთს და რატევანს.

ის ალაგები უწინარეს მათის დასახლებისა, იყვნენ თითქო უარგისო გადაგდებულნი, უწყლო ცუდ ჭაერია-ნნი, მაგრამ ყოველთა კალონისტთა ყოველს ალაგს ჭაერის წამხდენნი სიმყრალენი გინა ჭაობნი გასწმინ-დეს, ზედ დააშენეს შენობანი და ვენახნი, ჴელოვნებით შორიდამ წყლები გამოიყჳანეს წამხდარნი ალაგები და-ამგზავსეს სამოთხეს.

გარემო ჩჳენნი სოფელთ მცხოვრებნი, შეჭყურებენ გულ გრილად, ამის მეტსა არასა გრძნობენ, თითქო ეს განშჳენებული მდგომარეობა მხოლოდ კალონისტებთ ეკუთვნოდეს, ეს ცხადია რომ, სხჳა მამულები სჯობიან ამ ალაგებსა, მაგალითებრ ქართლისა, ლიახვებზე და-შენებულნი და ერთობ მტკჳარს გაღმა გამოღმა თავის-

ის საროწყავის ჭაერით მსგავსნი ედემისა, ეგრეთვე თფილისისა გარემო. კახეთი, ზემოთი და ქვემოთი სომხითი და სხვა რომლისა თჳთოეულის ფასი და სამძღვარი მიუწდომელია.

რომ თვალი დავაკვირვოთ ზოგიერთთ მამულების მეპატრონეთა, რომელთაცა ამ კოლონისტებზე უმეტესი ღონის მიებაცა ჰქონდათ, აბა ამ მშვენიერს მამულებს როგორ უვლიან, ან თითონ როგორს მდგომარეობაში არიან. ეხლა თფილისისა უპირველესი ალაგია კუკია, სწორე განიერნი და გრძელნი ქუჩები, ყველაზე უძვირფასესია დიდი განიერი ქუჩა ამა კოლონისტებისა, აქეთ იქით დაწკრივებულ ხეთაგან მშვენივრად დაჩრდილებულნი ძვირფასნი სახლნი და ბაღები, კუკიის ხიდზე საკჳრველად აღმართულია სრულის ტანით სახე, შემდგომ სიკვდილისაცა დიდებულს კაცად სახსოვარის უგანათლებულესის ვარანცოვისა.

ამა ხიდიდამ ჩრდილოეთისკენ ხსენებულ კოლონისტების ულიცას განვლის და შევალს სახემწიფო დიდ ბაღშია, რომელი უმეტეს შემკობილია მსგავსად ედემისა, არის ყოველთა თფილისის მცხოვრებთათჳს შესაქცევად, კუკია უმეტეს 20-ი ათასი კომლისა უცებ გამრავლებული კვალად მატულობს დღითი დღე.

იოსებ ელიოზოვი.

1869 წელსა.
21 იანვარს.
თფილისი.

# საყვედური

ესოდენ ტანჯვა არის საკმარი,
აბა მითხარი, ბოლო რა არი?
რად მბერავ აგრე ცივად ნიავსა,
აგრე სასტიკად რათ მირყევ თავსა.
ნუ თუ ეგ გული არის ყინული,
რომელ ვერ ადნობს ეს ჩემი გული.
განქრა ნეტარი ისი დროება.
ოდეს ნათელი მქონდა გონება,
ცხადად ვგრძნობ ახლა დამეხშო გული,
შენის ტრფობითა გარე მოცული,
წარვიდნენ დრონი კვლავ სანატრელი,
ჩემ სიჭაბუკის დამატკბობელი.
გაფრინდა სწრაფად ყმაწვილ კაცობა,
შენ შემირყიე მე მყუდროება.
ამ სოფელს მითხარ, აბა რას ველი?
შენ იყავ ჩემი მაცოცხლებელი,
და შენმა გულმა ყინულმა, მედგრად
მომკლა, დამაჭკნო მე მეტის მეტად:
ერთი ღა არის ჩემი საგანი,
როს გამეთხრება საწყალს საფლავი!

კონსტანტინე ბერძენოვი.

# ფ. დევდორიანი.

ამბობენ, კაცი სახელს ადვილად მოიპოვებსო. ეს დიდი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ესეც დიდი ჭეშმარიტება არის, რომ სახელის მოპოვება ადვილიც არ არის. ვიცით კაცი, რომელსაცა დიდი ქონებაცა აქვს, ბევრს სადილებსაც აკეთებს, მცბიერის ღიმილით ყველას თავს უკრავს და ელაპარაკება, რა არის თქვენ კარგი კაცი არისო, რომ ამითი ეგება სახელი როგორმე მოიპოვოს, რადგანც სიმდიდრე აქვს და ერთი სახელი-ღა აკლია, მაგრამ ამითი მაინც ის ვერასა ხდება; ამითი ის მაგდენს სახელს ვერ იზინებს იმ წრეში, ანუ იმ საზოგადოებაში, რომელს წრესაც ეკუთვნის; იმისი მეცადინეობა მაინც უნაყოფოთ რჩება, — მიდიან, სჭამენ, სმენ, იმის მცბიერ თავის დაკვრას ეალერსებიან, გამოდიან და იმაზედ მაინც ისევე იმ ძვირს ლაპარაკობენ, რა ძვირსაც მინამდისინ ლაპარაკობდნენ. — სახელის მოპოება შეიძლება კაცის შინაგანის კეთილის ღირსებით. თუ კაცს ბუნებითი კეთილშობილური ღირსება აქვს, ის რომელს წრეშიაც უნდა შეავდო, მაინც იმ წრეში და იმ საზოგადოებაში, ის თავისი თვისება დიდს სახელს მო-

უპოვებს და ყველას დიდათაც თავს შეაყუარებს. კაცობრი-ობითს ბუნებაში, ქუეყნის დაარსებითგან კეთილს უმო-ქმედნია ყოველთჳს, მოქმედებს და იმოქმედებს, რაც უნდა ხალხი წამხდარი ხალხი იყოს. ჩუენ ეს მცირე სჯა კაცის თჳსებაზედ მოგვყავს ზაქარია დევდორიანზედ, ერთს იმ ქართველზედ, რომელიცა ემსახურებოდა აქამდინ მან-გლისში ერევანსკის პოლკში კაპიტნის ჩინში და აღა-სრულებდა ხაზინადრის თანამდებობასა, რამდენიმე წელ-იწადი. ყველამ ვიცით, ეს ისეთი თანამდებობა არის, რომ მვირად თუ გამოვიდეს ვინმე ცარიელის კელით და არ ემიოს ჩვეულებითი სარგებლობა, მაგრამ ეს დევ-დორიანი, როგორც ცარიელის ჯიბით შესულა, ისეთი-ვე ცარიელის ჯიბით გამოსულა. ამას გარდა, ისეთის თჳსებისა არის, როგორც ბეჯითად შეგვიტყვია, რომ მართლად და, კაცი უნდა გაჭკჳრდეს ახლანდელს დროში. თჳთან, როგორც ქართუელი, აფიცარი, არა აქუს რა, მაგრამ იმისი გულის სიმდიდრე კაცს აკჳრვებს, ღარი-ბების შემწე, თავის მოამხანაგისთჳს თანამკუდარი, სალ-დათის მოსიყუარულე, სნეულის მიმხედი და სხუა,— იტყვიან ახლა, კაცს მოვალეობა აღუსრულებიაო, ეს მართალია, მაგრამ ახლანდელს დროში კაცმა რომ კა-ცის ვალი აღასრულოს, ეს დიდი საქმე არის. ამ დევ-დორიანზედ იყო დაბეჭდილი გაზეთს კავკაზში, ერთი სტატია, სადაცა მოკლედ გამოხატული იყო იმისი სამ-სახური და იმისი კეთილშობილური გულის თჳება, ამა-სთანავე ის სიყუარული, რა სიყუარულიც დაენერგა

თავის საზოგადოებაში. ეს აფიცარი გადმოიყვანეს სამსახურში მანგლისითგან ტფილისში და წამოსვლის დროს მრთელს იქაურს საზოგადოებას გაეკეთებინა სადილი, სადაცა რასაკვრველია შესხმაც ბევრი იქნებოდა თქმული. როდესაც ტფილისში ჩამოვიდა, აქაცა ჰყვანდნენ თავის პოლკის აფიცრები, რომელთა რიცხვში არის, ჩუენი ტფილისის საზოგადოების მცნობი, კონსტანტინე კოლუბანსკი და რომელსაცა რამდონჯერმე უთამაშნია ტფილისის თეატრში, სომხის როლი,—ეს ყოველთჳს მზად არის ამ გვარებში, ოღონდა კი კეთილის საქმის შესახები რამ იყოს; დიახ, ჩემო მკითხველო, კეთილი კეთილს დაემებს; ამ ჩუენმა ნაქებმა მოთამაშემ კოლუბანსკიმ რომ შეიტყო დევდორიანის ჩამოსვლა, ამანაც მოინდომა მადლობის გადახდა, კეთილის კაცისა და რვა მაის გაუკეთა სადილი დევდორიანს, რომელს სადილზედაც იყვნენ მოწვეულნი ძველნი და მოხუცებულნი ერევანცელები, აგრეთვე ისინი, რომელნიცა ახლა ემსახურებიან ამავე პოლკში, ოც და ხუთ სულამდინ. სხუათა შორის კოლუბანსკიმ უთხრა შესხმა დევდორიანს, რომელს შესხმასაც ვბეჭდავთ ამასთანავე.

საყუარელო და უძვირფასესო მეგობარო

ზახარი დავიდიჩ!

ნება მომეცი მეცა, როგორც ერევანსკის პოლკისამ გითხრა წრფელის გულით რამდენიმე სიტყუა:

შენ იმყოფებოდი ერივანსკის პოლკში თითქმის

ოც და ხუთი წელიწადი სამსახურში, ამ დროების განმავლობაში შენ შეიძინე საზოგადოებისაგან და ამხანაგებისაგან მტკიცე სიყუ̂არული და პატივისცემა; შენ დაგვიმტკიცე ჩუ̂ენ, რომ სცხოვრებდი საზოგადოებისათჳს, ამხანაგებისათჳს და არა შენის თავისათჳს. მრავალჯერ მე თჳთონ დავწრობივარ შენს კეთილ და ჩინებულ მოქმედებაზედ საზოგადოებისათჳს და ამხანაგებისათჳს, რომლითაც ყოველს სულს მოჭყუ̂ანდი შენის მოქმედებითა განკჳრვებაში. ბედნიერათა ვსახავ ჩემს თავსა, რომ ახლა, ამ სიტყვებით ვლაპარაკობ უძვირფასეს ერევანცელებთან, რომელნიც როგორც იმედი მაქუ̂ს და დარწმუნებული ვარ, თანახმანი არიან ჩემთან. მერწმუნე, უძვირფასესო მეგობარო, რომ ჩუ̂ენს გულში დიდხანს არ ამოიფხვნება სასიამოვნო საჴელი საყუ̂არლისა და უძვიროფასესისა მეგობრისა ზახარ დავითიჩისა. უძვირფასესნო ერივანცელნო! ავიღოთ ჴელში ასარფეშა სავსე ღვინითა, და ვისურვოთ ჩუ̂ენის კარგის მეგობრის ზახარ დავიდიჩისათჳს, რომ სადაც ემსახუროს, შეიძინოს ისეთივე მტკიცე სიყუ̂არული და პატივისცემა, როგორც, ჰქონდა ერივანსკის პოლკში! ურაა! . . .

---

## ასანა ლეკის თავს გადასავალი.

(თავისვნითვე ნაანბობი.)

(შემდეგი.)

დადგა 1828 წელიწადი, დედა დ͠ მამა დამეხოცნენ ხოლერით, მაშინ თექვსმეტის წლისა ვიყავი, ერთი დამრჩა ძმა, რომელსაცა ერქვა საფარა დ͠ ორნიც დანი,—ერთს ერქვა გულბინე დ͠ მეორეს ტუმენ-აღა; პირველი იყო თერთმეტის წლისა, ხოლო მეორე ოთხისა. ჩუ̂ენი სოფლის საზოგადოებამ ჩუ̂ენი თავი მიანდო აპეკათ, ჩუ̂ენს ბიძას ასანასა. მე მევანდა გადაზისხორის სოფელში მამიდა, რომელიცა იდგა ცალკე დ͠ რომლის ქმარი იყო მწყემსი. ერთხელ იმან დამიძახა სახლში, იმ ღამეს იმასთან ვყოფილიყავი, რადგანც მარტო იყო დ͠ ქმარი შინ არა ჰყვანდა, რადგანც ცხვარი მთაში წაესხა. იმისმა მულმა, რომელიცა იდგა იქავე მეზობლათ, ეს ანბავი რომ შეიტყო, ჩემზედ რაღაც ცუდი ეჭვი შემოიტანა დ͠ ეს თავისი ბოროტი ფიქრი უანბო თავის შვილებსა. იმათ საქმის გაურჩევლად, მეორეს დღეს დამინახეს თუ არა გზაზედ შინ მიმავალი, მამცვივდნენ

შიშველის ხანჯლებით; რასაკვირველია ეს რომ შევიტყვე ჩემი აკუწა უნდოდათ, ორს მომავალს კაცსა ვთხოვე თავიანთ საფარველს ქვეშ მიველე და ეშველათ ჩემთვის, მე კი მიველი, ერთი ღობე იყო და იმას ავეყუდე, ეს ორნი კაცნი წინ ამეფარნენ, ისინი მოვიდნენ და ეუბნებოდნენ, ჩემ შვილებს: «მოეცა მაგ დამნაშავეს, არ არის თქვენთვის რიგი, მაგისთანა გარყვნილს გამოესარჩლეთო.» ჩემა ამხანაგებმა მიუგეს: «ჩვენ არ ვიცით ეს თქვენთან რაში არის დამნაშავე, ეს კი ვიცით, თქვენთვის დიდი სირცხვილი არის, ორნი ერთს პატარა ემაწვილს ხანჯლებით გზაში ხვდებით და იბრიყვებით.» იმათ უთხრეს კიდევ: «ჩვენ იმისათვის კი არ გამოვდგომივართ, რომ გზაზედ დავეცნეთ, ამისათვის გამოუდექით რომ უნდა დავკლათო.» ეს რომ თქვა ერთმა იმათგანმა, მოიხსნა თოფი, შეაყენა ჩახმახი ფეხზედ და დამიმიზნა; მე მოვასწარი, შემოვკარი თოფის ტუჩს ხელი და ტყვია ავისხლიტე; მერე, ჩემს ერთს მცველს ხელი ჰკრა, გაიკრა მჭრელს ლეკურს ხანჯალს ხელი და რომ აიღო მაღლა უნდა გაეჩეხა შუაზედ, უცებ გადავხტი შორს, ავიცდინე ეს ხანჯალის დაკვრა, მერე ამოვიღე ჩემი ბასრი ხანჯალი ქარქაშითგან, მიუხტი და ხელმეორეთ ისე მაგრა დავკარი, რომ მხარი ნახევარზედ ჩავაჩეხე,—ის მაშინათვე წაიქცა და შექნა ყვირილი; იმისმა ამხანაგმა ეს რომ ნახა, მოიჭრა, აიღო და თოფის კონდახი თავში ისე დამკრა, რომ თავი გამიჩეხა,—თვალ პირზედ სისხლი გადმომსქდა, ცოტა წა-

ვიბარბაცე, დაურეტიანდი, მაგრამ ფეხები კიდევ შევიმაგრე; ის მომვარდა ამ დროს და უნდოდა წავექციე,-- მეც მაშინვე ვტაცე ცალი ხელი ერთს ბეჭში და მეორე ბეჭში, რაც ძალა და ღონე მქონდა ჩავეცი ხანჯალი. ის მაშინვე წაიქცა სისხლში გაბასრული, დაჭრილობა მრი-ელ დიდი იყო, ხალხი ყვირილზედ შეგროვდა და ბიძა ჩემიც იქ რომ მოვარდა სხჳათა შორის, დაჭრილების ერთმა ნათესავმა, ისე დაჰკრა იმას რიღითაც, რომ იქვე გადაიშხლართა; მე მინდოდა იმის საშველად იქ მივა-რდნილიყავი, მაგრამ ხალხი შემომესვია და იქითგან ლარსად გამიშვეს. ამ დროს მოვარდა მეორე ბიჭი ჩემი, იმ სოფლის ნაცვალი, და ხალხს რა არა უთხრა რა, მომშორებოდნენ, მანიშნა თავით და ხელი მკრა, რომ გავქცეულიყავი სადმე და დავმალულიყავი. მე გამოვარდი ამ ხალხითგან, მიშველა ხანჯლით, რომლითაც ხალ-ხს ვიგერებდი; ყველანი მიიფანტ-მოიფანტნენ, მაგრამ წინ ერთი დაჭრილების მოხუცებული ნათესავი შემხვდა, მტაცა ხელი და არ მიშვებდა; არც თუ იმას მოერიდა, რომ მე თითონ სრულებით სისხლში მოსვრილი ვიყა-ვი, თავის დაჭრილობისაგან; ეს რომ ვნახე, ხანჯალი ავიღე მაღლა იმის შესაშინებლად, თორემ სიკჳდილით კი ვერ გავიმეტებდი, რადგანც მოხუცებული იყო; ამ დროს სხვანიც წამომეშველნენ, თუ რომ ამ დროს არა-ვინ წამომშველებოდა, იქვე მამკლავდნენ მაშინათვე, მაგრამ ჩემს ბედობაზედ, ამ მოხუცებული კა-ცის ქალი, რომელსაცა ერქჳა გიუზელი და რომელსა-

ცა რა შევებრალე, მოიჭრა იქა, ჭკრა მამას კელი და ყვიროდა მშჳენიერის წმინდას ხმით: «დაეხსენი მაგ ყმაწვილს, თორემ მოგკლამსო!» ამითი იმან მამარჩინა; მე გადავხტი ღობეზედ, ერთი დაქანებული მინდორი იყო და იმაზედ ისე გამოვიქეცი, როგორც ფრინველი, გაურბინე წინ ჩჳენ სახლსა და რომ დამინახა ჩემა უფროსმა დამ ამ ანბავითგან გამოქცეული, მომაგება წინ ულაყი ცხენი და ჩჳენი სახლის მამა-პაპის კრმალი, მაგრამ კრმლის გამორთმევა რა ვეღარ მოვასწარი, შევახტი ცხენსა და ერი ჭა!! . . .

რა ერთს ვერსს გავცილდი ჩჳენის სოფლითგან, დავდექი ერთს გორის თავზედ, ტყეში, საიდამაცა სჩანდა იმდენი მოთამაშე ხალხი და მრთელი ჩჳენი სოფელი; იქ კიდევ როგორც ეტყობოდა დიდი ყაყანი იყო და ბევრნი თავიანთ ბანებზედ ადიოდნენ, დაენახათ ეს ალიაქოთი, და დავენახეთ მე, ხომ არსადა ვჩანდი. აქ რომ შევდექი და შევისვენე, მაშინ ვიფიქრე, თუ რა მამივიდა ესა და ან ამის შემდგომს რა მომელოდა; ჭსჩანს ვიფიქრე მე, მეც ის მიწერია შუბლზედ, რაც მამა ჩემს გადახდა მეთქი, რომ რამდენიმე წელიწადი, ვიდრე მოხუცდებოდა გავარდნილი, უგზო უკლოთ დაწანწალებდა, და თავისი ჭერი თვალით არ უნახავს მეთქი! ეს რომ ვიფიქრე, ჩამოვხტი ცხენითგან, აღვირი ცხენს კისერზედ მოვახვიე, კელი ალერსიანათ წაუსვი, მივანებე თავი, —რა შეუდექი გზასა და რა ვნახე ერთი მოხუცებული კაცი ტყეში მიმავალი, ვკითხე, თუ რა ან-

ბავი იყო ჩჳჱნს სოფელში? რა შემამხედა იმან და მნახა სისხლში შებასრული, შევებრალე და მითხრა: «ძმაო ასან, ეგ რა ქენი? შენ დასჭერი ორი კაცი ისე, რომ ისინი უეჭველად მოკჳდებიან; კიდევ აქ ტრიალებ შეუპოვრად, სოფლის სიახლოვეს! გასწი, გაიქეცი და უკან აღარ მოიხედო!» დაესხენი ორნივენი მოკჳდნენ, ჩემ სიკჳდილსა მეთქი, უთხარი მოსუცებულს. მერე ვთხოვე, წყლო. რა მომცა, დაჭრილობაში მაგრა ჩაუცევი, ამითი სისხლი შემიწყდა და შეუდექი სირბილით გზასა.

ისე სირბილით მივრბოდი, რომ მოკლეს დროში ოცი ვერსი გზა გავიარე და მივედი ერთს სოფელში, სადაცა პირ და პირ შევედი ერთის ლეკის სახლში, რომელსაცა ვიცნობდი, რადგანც ადრე ჩჳჱნს სოფელში სცხოვრებდა, ჯერ პატარა ფანჩატურითგან შევიხედე, შემეტყო თუ შინ გარეშე უცხო კაცი სომ არავინ იყო; რადგანც არავინ იყო, დავარახუნე კარი. პირველად ერთი გამოვიდა და რომ მნახა სისხლიანი, შეშინდა, რომლის შიშზედ მთელი სახლობა გარეთ გამოცვივდა; დამიწყეს კითხვა, თუ რა შემემთხვა; მე ყველა უანბე,— შემიყვანეს სახლში, მომბანეს თავპირი, გამომიცვალეს ტანთა და შემიხვიეს მაგრად თავი, აქ მთელი ერთი კვირა ვიმალებოდი. რომ მომბეზრდა, ჩემ სახლის პატრონს ვთხოვე, გაეგზავნა ვინმე ჩუმათ ჩჳჱნ სოფელში და შეეტყო თუ რა ანბავი იყო იქა. იმან უარი არ მითხრა და გაგზავნილი კაცი როდესაც დაბრუნდა, ანბავი მოიტანა, რომ ბიძა ჩემი ასანა, რომელიცა ჩჳჱნი აპე-

კუნი და შემნახავი იყო, დაეჭირათ, ხოლო მეორე ბი-
მისათჳს, რომელიცა იყო ნაცვალი, ებრძანებინათ, სა-
დაც ვიყავ და არ ვიყავი, მოვეძებნე, ვეპოვნე და კელ-
შეკრული მიეცე; უკეთუ ერთს კვირაში ვერ მიპოვნიდა,
მაშინ იმას გადახდებოდა ჩემი დანაშაული. ეს რომ მი-
ანბო იმ კაცმა, ჩემმა სახლის პატრონმა მირჩია, გავ-
ქცეულიყავი, შორს სადმე,—მე ნაცვლად ამისა, დავი-
წყე სიარული და პირ და პირ გამოვწიე შინისაკენ.

როდესაც ფეხწყნარად იმ ღამეს ჩემ სახლს მივა-
დექი, მე შემომესმა კაფიათად ბიძი ჩემის ცოლის ხმა,
რომელიცა მლანძღავდა და მწყევლიდა, ამისათჳს რომ
იმისი ქმარი, ჩემი ბიძა ასანა წაეყვანათ ტუსაღათ. მე
კარები დავარახუნე. როდესაც დამინახა, გაჰკჳრდა დი-
დად და რომ გაჩუმდა მერე უთხარი: მე გავიგონე ჩემო
ძალო, შენი ლანძღვა, წყევლა და თუმცა რიგი არ არის
შენი მაზლის წულმა დარიგება მოგცეს, მაგრამ ალბათ
ღუთის ნება იყო ამ დროს კარზედ მოვადექი, რომ
შევარცხვინო შენ. მე არც დამნაშავე ვარ და არც ჩხუ-
ბის მიზეზი, მე არავის მივცემ ნებას, ბატკანსავით ყე-
ლი გამომჭრან. და რაც შეეხება ძია ჩემს, ნუ გეშინიან,
მე იმას თავს არას გზით არ დავანებებ. მე თითონ ჩე-
მის ფეხით მოველი, არ იფიქრო ვისმეს მოვეყვანე;
წადი და გამოიხსენი შენი ასანა, უთხარი რომ მე აქა
ვარ, იმას რა შერცხვა, შევიდა სადედაკაცო ოთახში,
ხოლო ჩემი ძმა და დები, მომცვივდნენ, მომეხვივნენ.

ამის შემდგომს გამოველი გარეთ და დავინახე ჩუენ

სახლზედ ახლოს ცეცხლი: იქ კირსა სწომდნენ და როგორც სჩანდა ცეცხლს გარეთგან, მგრგვლივ კაცები მოსხდომოდნენ. ეს რომ ვნახე, პირ და პირ იმათკენ გავწიე და, რადგანც ღამე ბნელი და ქარიანი იყო, ახლოს მიველი იმათთან, რომელთაცა ცეცხლის ალისაგან თვალებ აბლანდულებმა ვერ დამინახეს. ერთი მოხუცებული კაცი, როგორცა სჩანდა ავრცელებდა ლაპარაკსა და ამ სიტყვებსღა მიუსწარი: «ეგ საკჳრველი არ არის; იმან იცის, რომ აქ კარგი და კეთილი არ დაეყრება; გაიქცა შორს — ალაგი ქჳეყანაზედ ბევრია — ხედამთ რომ, ვერავინ ვერ შეიტყო იმისი ბინა.» ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიცა იქ იჯდა ჰკითხა: «ეგ რომელს ვაჟკაცზედ ლაპარაკობ?» «განა შენ დაგავიწყდა?» უპასუხა მოხუცმა, «იმაზედ ვლაპარაკობთ, რომელიცა ერთი ყმაწვილი კაცი, თექვსმეტის წლისა, ორ მოსხვეპილს კაცს ვერ დაემორჩილა; ის ორნივენი მძიმეთ დასჭრა, გარშემო ხალხს პირში ყველას ჩააფურთხა და ყოჩაღათ, შეუპოვრად გაიქცა.» ყმაწვილმა კაცმა უთხრა: «რა მალიანა ვწუხარ რომ იმ დაჭრილების ნათესავი არა ვარ, მე რომ იმათი ნათესავი ვყოფილიყავ, წავიდოდი, სადაც იყო ვიპოვნიდი და ერთს მინუტს არ ვაცოცხლებდი.» ნუ კვეხულობ თუ ღმერთი გწამს, მე შენ გიცნობ, რაც ვაჟკაცი ხარ, იმასაც ვიცნობ. შენ რომ მაშინ იქ ყოფილიყავი და გენახა, მაშინ შიშისაგან ფეხ-ქჳეშ ჩაუარდებოდი.» ყმაწვილმა კაცმა ეს სიტყვები იტკიცა, — ამას გამოესარჩლა სხუა მოხუცებული კაცი და ეუბნე-

ბოდა, რომ ამ დროს, რა დროს შერცხვენა არის უმაწვილის კაცისაო. «მაშ რადგანც აგრეა,» სთქვა უმაწვილმა კაცმა «დღეს არის, თუ ხვალ, ერთხელაცარი ხომ შემხვდება დ ნახამ მე იმ, ასანა არის, რაღაც ჯანაბა, თუ რას უზამო; ეს ხომ შენ გამომითხოვე ამაზედ დ რაც მოუა ახლა ჩემგან ასანას, ეს სულ შენი ცოდვა იყოსო.» ეს რომ თქო, გამოველი მიფარებულის კუნჭულითგან, ჩევერიე მეც იმ მსხდომ ხალხში, ერთი კი უთხარი, გამარჯობა მეთქი, დ მეც იმ წრეში რა ჩავჯექი, დაუწყე ჩემ კელფეხებსს ცეცხლზედ თბობა, მე რომ დამინახეს, ყველამ გაოცებით პირები დააღეს; გაკვრვებულები ხან მე მიყურებდნენ დ ხან იმ ყმაწვილს კაცს, რომელიც მემუქრებოდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდგომს იმ მოხუცებულმა კაცმა მკითხა: «გაიგონე ასან, რასაც ახლა შენზედ ვლაპარაკობდით?» არა, არ გამიგია, მიუგე მე. მოხუცებული გაჩუმდა; იმ ყმაწვილმა კაცმა კი, რომელიცა ჩიბუხსა სწევდა, თავი ჯერ ძირს დაიღო, ისე ყურს გვიგდებდა, მერე ადგა ჩუმათ დ გაიპარა. იმათ კიდევა მკითხეს: «უთუოთ ჩუენი ლაპარაკი შეიტყეო?» მე კიდევ ის უპასუხე, არაფერი არა გამიგონიარა მეთქი, მხოლოდ ცეცხლი დავინახე დ გასატფობად მოველი მეთქი.

ამ დროს, როდესაც იქ მსხდომნი მკითხავდნენ ჩემს გარემოებასა, ჩემნი, ძმა დ დები მოვიდნენ, რომელნიცა მეუბნებოდნენ, აქ ნუ ზიხარ, ადექი სადმე წადი, თორემ ეს ალაგი საშიში ალაგი არისო. მე ავდექი დ გავ-

წიე მეორე ბიძა ჩემის სახლისაკენ, რომელიცა იყო იმ სოფლის ნაცვალი. იქაც რომ მივედი, ჯერ ფანჩატურითგან ყური დაუგდე, თუ რასა ლაპარაკობდნენ: ის-ის იყო ბიძა ჩემი ვახშამზედ ჯდებოდა, და რა ამოიოხრა, მომიგონა მე დანანებით. ბოლოს ესეც დაუმატა: «ის საცოდავი, ნეტავი თავში დაჭრილი მაინც არ იყოს, იქნება გაანჩხლებული გაიქცა შორს სადმე და ახლა სადმე ტყეშია გდია მწარეთ უპატრონოთ სისხლში მოსვრილი. ვინ იცის, იქნება იმისი ძვლებიც ვეღარა ვნახოთ.» ამ დროს უცებ შეველი და თავზედ წავადექი. ბიძა ჩემი ძალიან შეკრთა და ამასთანავე დიდად გაეხარდა, ასე რომ გონებაზედ გვიან მოვიდა. როცა დამშჳდდა, მიანბო, თუ როგორ წაეყვანათ ქალაქს ყუბაში, დატუსაღებული კამენდატთან, რომელსაცა ჩამოერთმივა კელ-წერილი, რომ უთუოდ უნდა მიპოვნოს და სუდში წარმადგინოს, თორემ ჩემს მაგიერ იმას უნდა გადახდომოდა; ვადაც ერთი თვე მიეცათ. მაგრამ, დაუმატა იმან, შენი საქმე ნათელი საქმე არის, შენ მართალი ხარო; კამენდატმა იცის ყველა სიმართლით, საქმეს როგორც გაუვლიაო. შენგან დაჭრილებიც რჩებიან, ისინი ისე არ არიან დაჭრილები, რომ მოკჳდნენო; მაგრამ შენი კელი, როგორცა აჩანს, ძალიან მძიმე ყოფილა ომშიაო. ერთს ჩამოსჭერი სრულებით მხარი, ასე რომ ტყავზედ დაეკიდა მრთელი ასო და მეორეს მრთელი ზურგი სათალივით აართვიო, ასე რომ მრთელი არშინი სიგრძე აქჳს იმის დაჭრილობასაო. ამასთანავე მირჩივა გავყოლოდი

ქალაქში კამენდატთან, მაგრამ მალას კი სრულებით არ მატანდა, მეუბნებოდა, იფიქრე შვილო და როგორცა სჯობდეს, ისე მოიქეცი. მე მაშინვე მიუგე,—ბიძა-ჩემო, თუნდა ხვალვე წავიდეთ, მე მზათა ვარ მეთქი,— მხოლოდ ამაღამ ნება მომეცი, ცოტა საქმეზედ წავალ და ისევ ამაღამ უკან დავბრუნდები მეთქი.

(ზოგი მერე იქნება.)

## 1871 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено Цензурою 1871 г. 15 Мая.